წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | პარასკევი, 22 იანვარი 1916 წ. | № 16

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

[illegible] ფასი

ჩვეულებრივი [illegible] პირველ გვერდზე [illegible] უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

# „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

1916 წ. — წელიწადი მეორე

**უპრემიოდ** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მან. 50 კაპ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მან., პირველ მაისამდე 3 მან., პირველ ენკენისთვემდე 2 მან. 50 კაპ., თვიურად—80 კაპ.

**პრემიით** გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

### პ რ ე მ ი ე ბ ი:

1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მეჩამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ეღირება 1 მან. 30 კ., რუქა—2 მან. საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.

პროვინციებში ხელისმომწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

## ჩვენს გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება:

**ქუთაისში:** 1) თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, 2) კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში, 3) ი. კვიცარიძის მაღაზიაში.

**ბათომში:** წიგნის მაღაზია „ცოდნაში“

**თბილისში:** ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოებაში ვასილ ედილაშვილთან. „Новая Рѣчь“-ის წიგნის მაღაზიაში ივანე კიკნაძესთან. ხოხო ივანიძესთან. ხარფუხის კლუბის მამასახლის ალექ. ლორთქიფანიძესთან და სასტუმრო „უნივერსალში“. წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ში ს. მერკვილაძესთან.

**თელავში:** ბ. სულხანიშვილთან, ვ. ციცქიშვილთან და კ. ონიკაშვილთან.

**სიღნაღში:** ნიკო ახმეტელაშვილთან.

**ლაგოდეხში:** ფორე ზედელაშვილთან

**ქვემო ქიზიყში:** ფიფო ალადაშვილთან.

**ზუგდიდში:** კატო კედიასთან.

**მოსკოვში:** გრიგოლ ვეშაპელთან.

**გორში:** ალექსანდრე რომანიშვილთან.

**ხაშურში:** ტრიფონ ჯაფარიძესთან.

**ჭკადუაში:** კალისტრატე ალშიბაიასთან.

**დუშეთში:** მღ. კონსტ. კავკასიძესთან.

**ს. ფშავში:** ევგ. დალაქიშვილთან.

**ს. შილდაში:** ვასილ კევლიშვილთან.

**ს. ენისელში:** ალ. ჯორჯაძესთან.

**კახში:** ზაქარია ედილაშვილთან.

**მაჩხაანში:** ალექსანდრე ნადირაშვილთან და ნიკო კორაშვილთან.

პირველი წელი — პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

## პაზმული და სამხატვრო კრებული

# „მ ე რ ა ნ ი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.

## გორის მაზრის

### თავად-აზნაურობის წინამძღოლი სთხოვს თავად-აზნაურობას მობრძანდნენ ქალაქ გორში

24 იანვარს შუადღის 12 საათზე, სამხედრო საკრებულოს დარბაზში

## თავად-აზნაურთა

# საგანგებო სამაზრო კრებაზე

კრების საგანია:

1. არჩევა თავად-აზნაურობის მაზრის წინამძღოლის თანაშემწისა.
2. თავად-აზნაურთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების მოწესრიგების საქმე.
3. თავად-აზნაურობის საკუთრებად მიწისა და სახლის შეძენა.

(1—38—1)

ექიმი-დოსტაქარი

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნისა და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გამოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

კბილის ექიმმა

## მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

# ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი

## ომის დეპეშები

30 იანვარი.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. გუშინ იქსკიულის რაიონში გერმანელებმა ძლიერი საარტილერიო სროლა ასტეხეს. ოგერის სამხრეთ რაიონში რუსთა არტილერიამ მარჯვედ შეაჩერა მტრის მანქანათა მუშაობა, ასევე მარჯვედ ესვროდა მტრის ტყვიისმფრქვეველთ. კუნძულ გლაუდანში, დვინსკის ქვემოდ და შიშკოვის რაიონში, დვინსკის დასავლეთით, გერმანელები შეეცადნენ თხრილებიდან გამოსვლას რათა რუსთა პოზიციებს მიახლოვებოდნენ, მაგრამ რუსებმა განსდევნეს. პრიპიატის სამხრეთით გალიციას სამხრეთით რუსთა მზვერავებმა მარჯვედ დაჭზვერეს მიდამოები, განსაკუთრებით ერჩეოდა ჩეხელი პრაპორშჩიკი სიროვოი. გალიციაში, ბუკოვინის ჩრდილოეთით, აღსანიშნავი არა არის რა.

**კავკასიის ასპარეზი.** თორთუმის ტბის რაიონში ოსმალთა დევნის დროს რუსებმა მდ. ჭოროხისკენ წაიწიეს. ზემო პასინის ველზე რუსთა მოწინავე რაზმი შეეტაკა ოსმალთა მზვერავებს და რამდენიმე ტყვე წამოიყვანა. ვანის ტბის სამხრეთ ნაპირზე რუსებმა აიღეს სოფ. ნორკევი. სპარსეთში ქერმანშაჰის რაიონში მოწინააღმდეგე ნეხოვენლესკენ დასწიეს. უკანასკნელ ოფიციალ მოხსენებაში ოსმალნი ამცირებენ რუსთა გამარჯვებას. მიუხედავად ამისა, იმ ფაქტის აღიარება, რომ „რუსებმა რაც დღის ხელჩართულ ბრძოლაში გვძლიეს სიმრავლით, შეიძლება, შემთხვევითი სიმრავლითაო“, ისედაც კარგად ჰმოწმობს, თუ რუსებს რა გამარჯვება ჰრგებიათ წილად.

**ლონდონი,** 19 იანვარი. აფრიკიდან იტყობინებიან, რომ რკინის გზის შტო ვოის სადგურიდან გერმანეთის სამფლობელოთა საზღვრებისკენ სერენგეთამდის მიიყვანეს. სერენგეთის აღების შემდეგ მტერი ნაკლებ ენერგიას იჩენს სამოქმედოდ. კამერუნიდან ცნობები მოდის ინგლისელთა და ფრანგთა ჯარების გამარჯვების შესახებ.

**ლონდონი,** 20 იანვარი. ოფიციალი. გუშინდამ „ცეპელიების“ თარეშის გეგმა თურმე ფართო განზრახულობით ყოფილა შედგენილი, მაგრამ ბუროსს შეუშლია ხელი. „ცეპელინებმა“ სხვა და სხვა ქალაქებში ჩამოჰყარეს ყუმბარები, როგორც, მაგალითად დერბეშის მიდამოებში, ლესტერში, ლინკოლშირში და სტაფორდშირში. ზარალი განსაკუთრებით უძრავი ნივთიერი ქონებაა. მოკლულია 54, ხოლო დაჭრილია 67 კაცი. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ მოსულა.

**პარიზი,** 19 იანვარი. დეპუტატთა პალატაში მსჯელობა იქონიეს „ცეპელინთა თარეშის საწინააღმდეგო ზომების გამოსანახავად. ბრიანმა განაცხადა, ასეთი თარეში სამხედრო შემთხვევაა და შეუძლებელია ზომებზე ვილაპარაკოთ თუ როგორ ავაცდინოთ პარიზს მათი ყუმბარებიო.

**სენ-დენი,** 19 იანვარი. საღამოს 7 საათ. და 20 წუთზე კალედან მომავალი სწრაფი მატარებელი ლიანდაგს ასცდა. რამდენიმე ვაგონი გადავარდა და მთლად დაიწვა. ათი მოკვდა, 20 დაჭრილია.

**ნიუ-იორკი,** 19 იანვარი. ნორფოლდიდან იტყობინებიან, ვირგინიის შტატში, ინგლისელთა გემი „აპპამი“, რომლის შესახებ ცნობები არ მოდიოდა და დაღუპულად სთვლიდნენ, დღეს დილით მოვიდა და ოლდპოინტთან გაჩერდა. ამბობენ, გემი გერმანელთა წყალქვეშამ მოიყვანაო.

**ლიონი,** 20 იანვარი. გერმანეთიდან მოვიდა მატარებელი ინვალიდებით. სადგურზე გენერალი დ'ადამი შეხვდა და სიტყვით მიჰმართა.

**ლონდონი,** 19 იანვარი. გერმანეთის კანცლერი ირწმუნება ვითომც ინგლისი აიძულებს მოკავშირეებს ზავზე ლაპარაკს ნუ მოჰყვებითო. ეს განზრახულ მიზნითაა გავრცელებული, რათა ინგლისის პრესტიჟი დასცენ ნეიტრალ სახელმწიფოთა თვალში.

**ლონდონი,** 19 იანვარი. დღეს ჩვენი არტილერია მარჯვედ ესვროდა გერმანელთა პოზიციებს მდ. ანგრისა და სომის შუა.

**სევასტოპოლი,** 20 იანვარი. რუსთა ნაღმოსნებმა დაჰღუპეს ოსმალთა ხუთი იალქნიანი ხომალდი. მეზღვაურნი ანატოლიის ნაპირზე გადვიდნენ და მიიმალნენ.

**ნიუ-იორკი,** 20 იანვარი. გემი „აპამი“ შეუპყრია გერმანელთა ერთერთ მეკობრე გემს. იყო ეს წყალქვეშა თუ დამხმარე კრეისერი, ჯერ გამოურკვეველია.

**ტოკიო,** 20 იანვარი. კოკუმინტოს პარტიის წევრი წინააღმდეგია გარდასახადების გადიდებაზე იმ საქონელზე, რაც იაპონიიდან რუსეთში იგზავნება ჩვეულებრივ.

**სოლუნი,** 20 იანვარი. ღამის 2 საათზე გერმანელთა ჰაეროპლანმა იფრინა სოლუნის თავზე და 15 ყუმბარა ჩამოაგდო. მოკლულია ორი ბერძენი ჯარისკაცი და 5 მუშა, დაჭრილია 1 ბერძენი ჯარისკაცი და 14 მუშა.

**პარიზი,** 20 იანვარი. ჰავრისა და მდ. ენის შუა მარჯვედ ვესვროდით მტრის საბარგულებს და მატარებელს. არგონებში ნაღმი ავაფეთქეთ ოტმევოშეს მწვერვალის „285“. სოლნდერნში გერმანელებმა ერთი ჩვენი სავალე სიმაგრე აიღეს, მაგრამ მალე გავრეკეთ.

**ათინა,** 20 იანვარი. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ მონასტირში გენერალი მაკენზენი მოვიდა თავისი შტაბითაო.

ავსტრიელთა ჰაეროპლანებმა დურაცოში ჩამოჰყარეს ყუმბარები და პროკლამაციები, სადაც სერბელთ ურჩევდნენ ზავზე დაგვთანხმდითო.

**სტოკჰოლმი,** 20 იანვარი. შვედელთა გემი „ტიტანია“ დაეჯახა გერმანელთა კონტრ-ნაღმოსანს, რომელიც უმალვე ჩაიძირა. „ტიტანია“ მცირეოდნად დაზიანდა.

**ნიუპორტ-ნიუსი,** 19 იანვარი. გემი „აპპამი“ შეიპყრო გერმანელთა წყალქვეშამ ვანარის კუნძულთან. წყალქვეშამ მის შეპყრობის წინ დაჰღუპა ინგლისელთა გემი. „აპამზე“ სხვა და სხვა გემებზე დატყვევებულებთან ერთად სულ 425 კაცი იყო.

**პეკინი,** 19 იანვარი. გუიჩჟოუს პროვინცია მიემხრო იუნანსისას.

**ტოკიო,** 19 იანვარი. მანჯურიაში ხუთი მფრინავი გაიგზავნა ჰაეროპლანებით რათა სიცივეში გამოსცადონ აპარატების ავკარგიანობა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**რუმინეთში.**

„ტაგებლატ“-ი იტყობინება: მოსალოდნელია რუმინეთის მინისტრთა საბჭოს გადადგომა, რადგანაც ზოგიერთი მინისტრი მთავრობის პოლიტიკას არ იზიარებსო.

**რუსი მღვდლები გერმანიაში.**

გერმანეთის მთავრობას ბულგარეთისათვის დაუვალებია, რამდენიმე რუსი მღვდელი გამოგვიგზავნეთ რუს ტყვეებისათვისო.

**ინგლისის ვალები.**

გრაფ ინჩენის სიტყვით, ინგლისს ომის დასრულებისას 5 მილიარდი გირვანქა სტერლინგი (50 მილიარდი მანეთი) დაედება ვალად, ყოველწლიურად გასასტუმრებლად ექნება 300 მილიონი გირვ. სტერლინგი. ომამდე დაიხარჯა 200 მილიონი, პენსიებზედაც დასჭირდებათ 100 მილ. სტერლ. ასე რომ ყოველწლიურად გარდასახდელი ვალი ინგლისის, უდრის 600 მილიონ სტერლინგს (6 მილიარდ მანეთს). ინგლისის წლიური შემოსავალი 400 მილიონ ფრანკს უდრის, მაშასადამე ინგლისმა ზედმეტად წელიწადში 200 მილიონი სტერლინგი (2 ორი მილიარდი მანეთი) უნდა იხადოს. ენჩენის აზრით ამ თანხას ახალი გარდასახადებიდან და ბაჟებიდან შეადგენენ.

**ცეჰელინები.**

რიგის მიდამოებში გერმანელებმა ჰაეროპლანებით იერიშებს მოუხშირეს. მიტავის მახლობლად გამოჩნდა „ცეპელინი“.

**საფრანგეთის ფრონტზე.**

ფლანდრიაში გერმანელები იერიშზე გადავიდნენ და რამდნიმე დღეა გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს. ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ რათა გერმანელებმა გაარღვიონ მოკავშირეთა ფრონტი. გერმანელებს ბულგარელების ჯარიც მიჰშველებია.

— მოკავშირეებმა კარა-ბურნუ დაიჭირეს, ამის გამო საბერძნეთმა პროტესტი გამოუცხადა.

— სალონიკზე იერიშებს ავსტრიელები და გერმანელები თებერვლის პირველ რიცხვებისთვის აპირობენ.

**ალბანეთში.**

ავსტრიელები სამხრეთ ალბანეთისკენ აღარ იწევენ. ამბობენ: დიდძალ მაშველ ჯარს ელიანო. იტალიამ თავისი ჯარი უკანვე გამოიწვია.

**ვილსონის სიტყვა**

ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა ვილსონმა რკინის გზის ასოციაციის ბანკეტზე სიტყვა სთქვა: „მე მშვიდობიანობის მომხრე ვარ და ბევრიც ვიბრძოლე მისთვის, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნის თავისუფლება და ღირსება უფრო მაღლა სდგას. უკანასკნელ კონგრესზე გავაცხადე: ჩვენ არა გვჭირდება სამარი მზადება... მე არ შემიძლიან გითხრათ, ხვალ როგორი იქნება საერთაშორისო განწყობილება ჩვენის ქვეყნისა.. მე მუდამ ვეცდები მსოფლიო მშვიდობიანობა არ დაირღვეს, თუმცა ამერიკას მსოფლიო განწყობილებაზე გადამწყვეტი გავლენა არა აქვს.

**ჩინეთის რევოლიუციონერები**

ჩენკინგთან ბრძოლის დროს ჩინეთის მთავრობის ჯარმა უკან დაიხია. რევოლიუციონერებმა დაიპყრეს სუჯოუ. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა 20.000 რევოლიუციონერი.

გარეშე სამხედრო პირები თვალყურს ადევნებდნენ ამ ბრძოლას და განცვიფრებულნი იყვნენ, რომ აჯანყებულთა მეთაური გენერალი ტზაიდო მოხერხებულად მოქმედებდა. მას თავის ჯარში გაუმეფებია დისციპლინა. შემოუღია ჯარის შესანახად გადასახადი.

რევოლიუციონერთა ჯარი ქ. ვიკუანგოსკენ გაემართა. აიღო ქალაქი და მთავრობის ჯარი იძულებულჰყო იაცეკიანგის მეორე ნაპირს გადასულიყვნენ. საკმარისია რევოლიუციონერებმა ქ. ჩანგცუ დაიპყრან და მთელ სინჩუანის პროვინციის გამგენი შეიქმნებიან. უკანასკნელ ცნობით ეს ქალაქიც აუღიათ. იუანშიკაის მთავრობა დიდს საგონებელშია.

**სალონიკი**

ბულგარეთის ჯარის მთავარ სარდალს უთქვამს: რაკი ავსტრიელებმა მთაშავეთი დაიმორჩილეს, სალონიკმა მნიშვნელობა დაჰკარგაო. მისი აზრით მოკავშირეების ჯარი მალე მიატოვებს სალონიკს.

**საბერძნეთში**

გალიპოლის ნახევარ - კუნძულიდან საბერძნეთ ბულგარეთის საზღვრებზე გადაუტანიათ მძიმე ზარბაზნები.

**ყარა -ბურუნში**

ამ თვის 15 ყარა ბურუნის ნახევარკუნძულზე ჯარი გადაუყვანიათ მოკავშირეებს და ბერძნების სიმაგრე დაუჭერიათ. მეციხოვნე ჯარს წინააღმდეგობა არ გაუწევიაო.

**ბულგარელები როტერდამში**

ბელგეთის გაზეთების ცნობით როტერდამში ამ ბოლო დროს თავს იყრის ბულგარელთა ჯარი.

**დურაცოს მიტოვება**

„ტაიმსის“ სიტყვით, დურაცოში კიდევ ყოფილა სერბიელთა ჯარის მონარჩენი.

ბერლინის ცნობებით ესად-ფაშას

რჩევით დურაცო მთლად დაუტოვებიათ იტალიელებს და ჯარი ვალონაში გადაუყვანიათ.

**საბერძნეთის ნეიტრალიტეტი.**

პეტროგრადის მაღალ წრეებში ეჭვი ეპარებათ იმის გამო, რომ საბერძნეთი სინიდისიერად არ იცავს ნეიტრალიტეტსაო, მაგრამ ის კი ცხადია რომ იგი აშკარად ჯერ-ჯერობით არც ერთ მეომარ მხარეს არ ემხრობაო.

**რუმინეთში.**

გერმანეთის და ავსტრიის აგენტები რუმინეთში კვლავ განაგრძობენ თავიანთ მოქმედებას. რუმინელი დიპლომატები მხოლოდ მაშინ გადასდგავენ გადამწყვეტ ნაბიჯს, როცა დარწმუნებულნი იქნებიან, რომ მათი მოქმედება ნაყოფს გამოიღებს ერის საკეთილდღეოდ.

## უკანასკნელი ფოსტა

**სალონიკისკენ**

ჰააგიდან იტყობინებიან, გერმანელთა შტაბმა გადასწყვიტა პირველ თებერვლიდან გაილაშქრონ სალონიკზეო.

**იტალიელებს ალბანეთში**

იტალიელები იძულებული გახდნენ ალბანეთი დასცალონ, რადგან უამინდობა და უგზოობა საქმეს აბრკოლებსო.

**ბულგარები ფლანდრიაში**

ფლანდრიაში მყოფ გერმანელ ჯართა შორის ბულგარებიც შენიშნეს.

**„ცეპელინები" რიგის რაიონში**

რიგის რაიონში „ცეპელინებმა" თარეში დაიწყეს. ტყვე გერმანელები ირწმუნებიან, დასავლეთ ფრონტიდან გადმოჰყავთ აქეთ ჯარებიო.

**სითბოს მოლოდინში**

„რუს. ინვ."-ი სწერს: ამბობენ, დათბება თუ არა, გერმანელები მძლავრად აამოქმედებენ თავის ტეხნიკურსა და ქიმიურს ძლიერებასაო.

**კოკოვცევი**

19 იანვარს გრაფი კოკოვცევი ცარსკოე სელოში იყო. იგი მეფემ სადარბაზოდ მიიღო და ხანგრძლივ ესაუბრა.

**პიტირიმის ნაბიჯი**

სამშაბათს სათათბიროს მემარჯვენეებს სხდომა ჰქონდათ. სხვათა შორის განუხილავთ მიტროპოლიტ პიტირიმის მიერ წარდგენილი მოსაზრება სინოდის ობერ-პროკურორის მიერ სათათბიროში შეტანილ პროექტის გამო. სხდომა უარყოფით მოჰკიდებია პიტირიმის მოსაზრებას.

**ოსმალეთის ბატონიშვილი**

სტამბოლიდან იტყობინებიან, ოსმალეთის ტახტის მემკვიდრემ იუსუფ-ეფენდიმ თავი მოიკლაო.

## ბრძოლის ველზე

რიგა-დვინსკის რაიონში გამოცოცხლებული მოქმედება თითქოს თანდათან ვითარდებაო. წინად აღნიშნულ ბრძოლის პუნქტებსა და რაიონებს ახალ-ახალი ემატება. ასე მაგალითად, იქსკულის რაიონში, რომელიც მიზანში ამოღებული რაიონია მდ. დვინის გადასალახავათ და რომელზედაც ბევრჯელ ფიცხელი იერიშიც მიუტანიათ, გერმანელებმა კვლავ დიდი საარტილერიო სროლა გააჩაღეს.

ოგერის სამხრეთით, სადაც გერმანელებმა უმთავრესად ტყვის-მტყორცნელები აამოქმედეს და თავიანთ მოწინააღმდეგეს საგრძნობელ ვნებას აყენებდენ, რუსების არტილერიამ, გუშინდელი დეპეშის თანახმად, მიზან მიღწეული პასუხი გასცა. აღსანიშნავია აგრეთვე გერმანელთა სამხედრო მოქმედების გაცხოველება დვინსკის რაიონშიც.

გერმანელნიც ცდილან თავიანთ თხრილებიდან ამოსვლას და იერიშის მოტანას გლაუდენის კუნძულზე, რომელიც დვინსკის ქვემოდ მდებარეობს.

გალიციაში და ბუკოვინაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

კავკასიის ასპარეზზე თორთუმის რაიონში გამართული ბრძოლა, რუსების სასარგებლოდ გადაწყდა. რუსებმა წინ გაირეკეს ოსმალები და მდ. ჭოროხამდე მიაღწიეს. ზემო-ფასინის ველზე რუსებსა და ოსმალების მოწინავე რაზმებს შეტაკება მოსდით, ვანის ტბის სამხრეთით რუსებმა დაიჭირეს სოფელი ნორკევი.

სპარსეთში ქერმანშაჰის რაიონში ბრძოლაა, თურქ-სპარსებს ნეხოვენდისკენ დაუხევიათ.

**მეგრი.**

**თბილისი, 22 იანვარი.**

**რუსეთის პოლიტიკური სიტუაცია და გორემიკინის გადაყენება.** ომის მიმდინარეობის ბოლოდროინდელი პერიოდი რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მემარჯვენეთა პრესტიჟისა და ძლიერების განმტკიცების პერიოდია. გასულ ნოემბერში მემარჯვენეთა პარტიამ მთავრობის ოფიციალი სანქცია და დასტური მიიღო თავის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში, როდესაც პეტროგრადში ნოემბრის რიცხვებში გამართულ მემარჯვენეთა ყრილობაზე სამი ყოფილი მინისტრი რუსეთის მემარჯვენეებს პოლიტიკურ რეაქციის განმტკიცებისაკენ მოუწოდებდა, ხოლო რუსეთის ეხლანდელი შინაგანი საქმეთა მინისტრის წარმომადგენელი ტაშს უკრავდა ლიბერალურ რუსეთის ალაგმვის მოურიდებელ წინადადებას. ამ მემარჯვენეთა გავლენით გადაიდო სახ. სათათბიროს მოწვევა, რომელიც ნოემბერში უნდა მომხდარიყო. პეტროგრადში გამართულ მემარჯვენეთა ყრილობას რუსეთის პროვინციული ქალაქები გამოეხმაურა და მთავრობის დახმარების წყალობით მთელ რუსეთში გაიმართა მემარჯვენეთა ხმა შეწყობილი კონცერტი. დღეს რომ დღეა რუსეთის მმართველი წრეები გამარჯვებული მემარჯვენების გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

უბედურება თვით რუსეთის აწინდელ მდგომარეობისათვის, ერთი ორად უბედურებაა არა-რუსი ერებისთვის მემარჯვენე რუსეთის პოლიტიკური გაბატონება. ისეთი და შესამჩნევი პოლიტიკური აქტი, როგორიცაა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სამსახურიდან გადაყენება, ამ მემარჯვენე რუსეთის პოლიტიკური ვარაუდების შედეგია. ეს გარემოება-კი ერთი-ათად უფრო საგულისხმოს და სიმპტომატიურ ჰყოფს პირველ მინისტრის, გორემიკინის დათხოვნას. გორემიკინი პოლიტიკაში დარწმუნებული რეაქციონერია და თავის ფართე სარბიელზე იგი გონივრულად აწარმოებდა თავის შესაფერ პოლიტიკურ მოღვაწეობას. გორემიკინი სასახლეში კარგად იყო მიღებული და ხელმწიფის ნდობა და ყურადღება დამსახურებული ჰქონდა. და ასეთი პირი, რომელსაც უმაღლესადაც კეთილის თვალით უყურებდენ და რომელიც ცხოვრებაშიც ერთგულად მისდევდა რეაქციონურ პოლიტიკის ხაზს, დღევანდელს ყოვლად რთულ დროში, ჩამოაშორეს ქვეყნის მართვა-გამგეობას.

ასეთი პოლიტიკური გატაცება და ავანტიურიზმი გასაკვირი არ არის. რუსეთმა ამ განსაცდელის დროს ვერ გამოიჩინა შინაგანი შემოქმედება. მის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ სარბიელზე სათანადო პერსონაჟები ვერ გამოვიდენ.

## ახალი ამბავი

გორემიკინის გადადგომის გამო დიდი მითქმა-მოთქმაა. მის ადგილას სათათბიროს წევრის შტიუმერის დანიშვნის ამბავი სათათბიროში წინა დღით სცოდნიათ. ასეთმა ცვლილებამ სათათბიროში, თურმე არავითარი გავლენა არ მოახდინა. სათათბიროს წევრები ამ ამბის გამო არც კი შეკრებილან აზრის გასაზიარებლად. ყველა მოელის, თუ რა ნაყოფს გამოიღებს ასეთი ცვლილება.

✦ **მეფის ნაცვალი დიდი მთავარი** ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კავკასიის საომარ ასპარეზიდან თბილისს დაბრუნდა.

✦ **მადლობის დეპეშა.** თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-მა კ. ნ. აფხაზმა შემდეგი დეპეშა მიიღო: „უგულითადესად ვმადლობ თბილისის თავად-აზნაურობას ჩემის ძვირფასი მეუღლის გარდაცვალების გამო სამძიმრის გამოცხადებისათვის.

**გრაფის მეუღლე ელისაბედ ვორონცოვ-დაშკოვისა".**

✦ **თბ. ეპარქიალურ სასწავლებელს** ყოფილ მეფის ნაცვლის მეუღლემ გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისამ 400 მანათი გამოუგზავნა ღარიბ მოწაფეთა დახმარების აღმოსაჩენად.

✦ **ყოვლად სამღვდელო ლეონიდი** ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოისა თავის ეპარქიაში გაემგზავრა. სადგურამდის მათი მეუფება საქართველოს ექსარხოსმა და გორის ეპისკოპოსმა გააცილეს.

✦ **სასულიერო სემინარიის რექტორად,** როგორც გავიგეთ ინიშნება არქიმანდრიტი ნაზარი.

✦ **წარჩინება.** წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი ებოძა ტამბოვის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს გოფმეისტერს **ჩოლოყაშვილს.**

✦ **თ-დი დ. ო. ნიჟარაძე,** ქუთაისის თავად-აზნ. გუბერნიის მარშალი საქართველოს ექსარხოსთან იყო სადარბაზოდ.

✦ **გერმანელთა სოფლის სახელების გამოცვლა:** მეფის ნაცვლის ბრძანების თანახმად გერმანელთა 17 სოფელს სახელები გამოეცვლებათ. ზოგგან აღადგინეს ძველი ქართული სახელები.

✦ **საკვები თანხის გაღება.** თბილისის საგუბერნიო საკვებავ გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მეფის ნაცვლის დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის წინაშე, რათა საიმპერიო თანხიდან გუბერნატორის განკარგულებაში გადასდოს 226.196 მანათი შემდეგ სიღნაღის მაზრის სოფლის საზოგადოებათა სასარგებლოდ, რომელნიც დიდი წყალდიდობისაგან დაზარალდნენ. ამ საზოგადოებაში შედიან: ზემო-ფხოველი, კაჭრეთი, კაკაბეთი, იორ-მუღანლო, ჩალაუბანი, მელაანი, შაბლიანი, ჯიმითი, ყანდაურა, ჭერემი, ჩაილური და კოდალო.

✦ **თბილისში ჩამოვიდა** სახელმწიფო სათათბიროს წევრი მ. ი. პაპაჯანოვი.

✦ **ძველ სემინარიის შენობაში,** ლაზარეთის დაარსების შესახებ ქალაქთა კავშირს სასანიტარო და საევაკუაციო მთავარ გამგეობისაგან უარი მოუვიდა, ვინაიდან იქ წითელ ჯვრის ახალ ლაზარეთს ვაარსებთო.

✦ **პროფ. ნ. ა. გრედესკული** გუშინ ქუთაისიდან თბილისს დაბრუნდა.

✦ **„განათლების" სასარგებლოდ.** თბილისის გუბერნატორმა ნება დართო კნ. ნ. ბარათაშვილს საარტისტო საზოგადოების თეატრში 27 იანვარს გამართოს წარმოდგენა, ამ საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ გამოქცეულთა მზრუნველმა კომიტეტმა გადასცა თამამშევს შემოწირული ფულები გამოქცეულთა დასარიგებლად. ფული ასე დანაწილდება: ერევნის გუბერნიაში 111,250 მან. სევასტოპოლის გუბ. 11,875 მან. თბილისის გუბ. 9,250 მან., შავი ზღვის გუბ. 2,785 მან., სტავროპოლის გუბ. 7,750 მან. ყუბანის ოლქს 12,500 მან. ბაქოს 3,625 მან

✦ **ორთაჭალის ხიდის** გაკეთების შესახებ დღეს ექნება თათბირი ქალაქის სატეხნიკო კომისიას. როგორც დანამდვილებით ამბობენ, ორთაჭალის მებაღეები მზად არიან ერთი მესამედი ხარჯისა თითონ იკისრონ, ოღონდ კი ხიდი გაკეთდეს ორთაჭალაში.

✦ **გადამდები სენი.** გუშინ, 21 იანვარს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 168, ხუნაგიანი 15, სახადიანი 20, საოფლიანი 7 კაცი.

✦ **სურსათი.** 20 ამა თვეს რკინის გზით შემოიტანეს თბილისში: მარილი 1 ვაგ., ხილი 1 ვაგ., ღვინო 6 ვაგ., შეშა 78 ვაგ., ქვანახშირი 1 ვაგ., ნავთი 2 ვაგ., მაზუთი 13 ვაგ , მანქანის ზეთი 1 ვაგ.

✦ **„განათლების" საზოგადოების** სასარგებლოდ 27 ამა თვეს 2 წარმოდგენა გაიმართება: პირველი—დღის 12 საათზე, ხოლო მეორე—საღამოს 7 საათზე.

✦ **სარევიზიო კომისიის შევსება.** 25 ამა თვეს ქალაქის საბჭომ უნდა შეავსოს სარევიზიო კომისია რამდენიმე წევრით ისეთ ხმოსნებისაგან, რომელნიც ქალაქთა კავშირის კომიტეტში წევრებად არ ირიცხებიან. ამ ახლად არჩეულ წევრებს დაევალება რევიზია გაუკეთონ განმანაწილებელ ლაზარეთს.

✦ **მეფის ნაცვალი დიდ მთავარ** ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან გუშინ სადარბაზოდ იყო ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე. დარბაზობის შემდეგ თ-დი ნიჟარაძე მიწვეული იყო მეფის ნაცვლის მიერ საუზმეზე.

✦ **საქართველოს ექსარხოსი** ყოვლად უსამღვდელოესი პლატონი სადარბაზოდ იყო ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლ თ-დ დ. ო. ნიჟარაძესთან.

✦ **სადეპუტატო საკრებულოში.** თავად-აზნაურთა მარშალთა და დეპუტატთა სხდომაა დღეს დანიშნული. უნდა განაწილდეს დარჩენილი თანხა 600 მანეთი. კრებაზე ქართულ კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებათა თავმჯდომარენიც არიან მიწვეულნი.

✦ **პროფ. გრედესკული** გუშინ ადგილობრივ გაზეთების რედაქციებში იყო და გაეცნო რედაქციის კოლეგიებს.

✦ **ქართველ მოღვაწეთა** თავშესაფარის ასაგებათ დ. ცაგვერში ქართ. კულტურის მოყვარე საზოგადოებას დღემდე 1600 მანეთზე მეტი შემოსვლია-

✦ **ქალაქის გამგეობამ** იყიდა პარამონოვისაგან დონის როსტოვში 90,000 ფუთი ფქვილი, რომელიც სამი საგანგებო მატარებლით უნდა ჩამოიტანოს თბილისში. ერთი ამ მატარებელთაგანი 26 ამა თვეს გამოვა როსტოვიდან.

✦ **ბილეთები** დიდ საქველმოქმედო საღამოსი, რომელსაც ქართული საქველმოქმედო საზოგადოება მართავს „ახალ კლუბში" კვირას, 24 ამ თვეს, იყიდება „ახალ კლუბის" კასაში, საქველმოქმედო საზ. კანცელარიაში და „ძმურ ნუგეშში".

✦ **სასტიპენდიო ფული.** ძმ. ზუბალაშვილებს გამოუგზავნიათ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობისათვის 3,150 მანეთი. ეს ფული უნდა მიეცესთ ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდიანტებს სწავლის დასრულებამდე.

✦ **მოსავლის ნიშნები.** ზემო ქართლის სოფლებს იმედი მიეცათ, რომ წლეულს იქ კარგი მოსავალი იქნება ჭირნახულისა, რადგან კარგა თოვლი მოვიდა იქ. აგრეთვე თოვლი მოვიდა დასავლეთ საქართველოს ბევრს ადგილას და იქაც მოსავლის იმედი მიეცა ხალხს.

✦ **ალვანის** (თუშეთი) შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობას სახელმწიფო ბანკმა 15 ათასი მანეთი მოკლე ვადიანი და 5 ათასი გრძელ ვადიანი სესხი მისცა.

✦ **ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ** საზოგადოებამ მისწერა თვის განყოფილებებს 10 პროცენტი ნაღდი მოგებისა და აგრეთვე 1915 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშები დროთი წარმოადგინონ.

✦ **ტაძრის დღესასწაული.** 26 იანვარს წმ. დავით III აღმაშენებლის ხსოვნის დღეს, რომლის სახელზედაც ნაკურთხია თბ. სათავად-აზნაურო გიმნაზიის ტაძარი, თვის ტაძრის დღეასსწაულს უქმობს. მწირველია საქართველოს ექსარხოსი პლატონი.

✦ **თავ. დ. ო. ნიჟარაძე,** წინამძღოლი დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობისა, ამ ჟამად თბილისში იმყოფება. როგორც გადმოგვცეს, თავ. ნიჟარაძემ რამდენიმე შუამდგომლობა მიართვა მეფის ნაცვალს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა სხვა და სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილების შესახებ.

✦ **შიო მღვიმელს** ქ. ქუთაისში უმართავენ საღამოს 31 იანვარს, ხოლო თბილისში თებერვლის პირველ რიცხვებში.

✦ **თბილისში ჩამოვიდნენ** მოხევენი ვას. ქუშაშვილის მეთაურობით, რომელთაც დაათვალიერეს თბილისის ღირს-შესანიშნავი ადგილები და ქართულ დაწესებულებათა წიგნთ-საცავ მუზეუმები.

✦ **სახადი ბათომის ოლქში.** ართვინის ოლქში თავი უჩენია სახადს. ქალაქთა კავშირის ბათომის კომიტეტის თავმჯდომარე თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი 20,000 მანეთს თხოულობს ქალაქთა კავშირისაგან, სნეულების წინააღმდეგ საბრძოლველად.

✦ **სომხის საქველმოქმ. საზოგადოებას** ა. ი. ხატისოვმა გადასცა მოსკოვიდან ინგლისის კონსულის მიერ გამოგზავნილი 14,921 მან. 25 კ. გამოქცეულთა სკოლების შესანახად და 2,878 მა. 11 კ. ვანის ობოლთა თავშესაფარისათვის.

✦ **სიღნაღის ქალაქის თავს,** რომელიც ფქვილის საკითხზე ჩამოსული ტფ. ქალაქის გამგეობამ 2 ვაგონი ფქვილი მისცა ქ. სიღნაღისთვის.

✦ **ქალაქის გამგეობის** წევრს გ. დ. ჟურულს მიენდო გამორკვევა უსახელო საზოგადოების ყველა ქალაქების ვალებისა, რომელიც დარჩენილია 1915 წლის 23 ქრისტიშობისთვემდე.

✦ **ქართულ კულტურის მოყვარე საზოგადოების** სხდომა დღესაა დანიშნული სამკურნალო საზოგადოების დარბაზში. ბ-ნი ი. პ. ვართაგავა წაიკითხავს მეორე ნაწილს თვის მოხსენებისა: „სოფელი და სოფლელნი ]. მგალობლიშვილის ნაწარმოებში".

✦ მოვაგონებ პატივცემულ მკითხველებს, რომ 26-ს იანვარს საქართველოს **საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების** თაოსნობით **აკაკის** გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად იმართება საზეიმო სხდომა ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა წარმომადგენელების თანდასწრებით. სხდომა გაიმართება საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში. ბილეთების ფასს ვაცნობებთ განცხადებებით.

✦ **კვირას** 21 თებერვალს სახალხო სახლში გაიმართება მუსიკალური საღამო. ამ საღამოში მონაწილეობას იღებენ ყველა ქართველი ახალგაზრდა მემუსიკე და მომღერალი. ნაწილი შემოსავლისა „საჩაის" გადაეცემა.

✦ **ოზურგეთში** განუზრახავთ ქალაქის ბაღში **აკაკის** ბიუსტი დადგან.

✦ **ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების საგანგებო კრება** დანიშნულია თებერვლის 21, შუადღის 12 საათზე, გიმნაზიის შენობაში. საგანგებო კრებამ უნდა გადასწყვიტოს კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირში შესვლის საკითხი და აირჩიოს 3 რწმუნებული ხსენებულ კავშირის კრებებში მონაწილეობის მისაღებად.

**ქუთაისი.**

**ვ. გარრიკის** პიესა „მოლიპულ გზაზე" რომელიც წარმოდგენილი იყო 13 იანვარს ნ. გვარაძეს საბენეფისოდ, საზოგადოებამ ძალიან მოიწონა და დიდძალი ხალხიც დაესწრო. პიესას იმეორებენ შაბათს 23 იანვარს.

**გორი.**

„გორის კოოპერატივის" საბჭომ 20 მანეთით დახმარება აღმოუჩინა გორის პირველ დაწყებით დაბალ სასწავლებლების ღარიბ მოწაფეთ.

— 20 იანვარს დავიდოვსკი მართავს კონცერტს. ბ. დავიდოვსკის გუნდმა მოიარა ქუთაისის გუბერნია, გზად გორში შემოიარა და მეორედ გამართავს კონცერტს ახალის პროგრამით.

— მზიანი, გაზაფხულისებური ამინდი შეიცვალა. ეხლა-კი ზამთარმა იჩინა თავი, აგერ მეოთხე დღეა გამუდმებით თოვს, ჰქრის ქარიც, რაც ნამქერს აყენებს. გლეხები არ უჩივიან ზეცას, ისევ თოვლი სჯობიან მზეს, თორემ შარშანდელმა მზიანმა თბილმა ზამთარმა ზაფხული და შემოდგომა გაგვიმწარაო.

**წალვერი.**

სამი დღეა განუწყვეტლივ თოვს. 17 იანვარს მოხდა წალვერის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის საზოგადო კრება, რომელმაც განიხილა და დაამტკიცა 1915 წ. წლიური ანგარიში. ამ წლის წმინდა მოგებიდგან (1150 მ.) გადასდო ქართველ მოღვაწეთათვის განზრახულ სახლის ასაშენებელ ფონდის სასარგებლოდ ათი თუმანი.

— კრებამ ერთხმად დაადგინა გახსნას წალვერში საამხანაგო სავაჭრო მაღაზია და ეს დადგენილება განახორციელოს გაზაფხულამდის.

**თელავი.**

აქ დაარსდა საქველმოქმედო საზოგადოება. გამგეობაში აირჩიეს ბ. ბ. ხირსელი, ავალიშვილი, კარბელაშვილი, პაატაშვილი, მაქარაშვილი ამონაშვილი და ციცქიშვილი. საზოგადოება პრაქტიკულ მოქმედებას შეუდგება მთავარ გამგეობიდან ინსტრუქციების მიღების უმალ.

— პურის და ხორცის ნიხრმა თელავში ძალიან აიწია. გირვანქა ხორცი ფასობს ხუთ-ექვს შაურად და ისიც ხშირად არ იშოვება. საზოგადოთ ბაზარს მეთვალყურე აკლია.

— თელავის საზოგადო ბიბლიოთეკა-სამკითხველო სულს ღაფავს. ასეთი ცოცხალ-მკვდარი დაწესებულება რომ არ არსებობდეს ისევ ისა სჯობია.

— საკრედიტო ამხანაგობის საქმეები მშვენივრად მიმდინარეობენ. წლიური საწარმოვო თანხა სამ-ნახევარ მილიონს უდრის. როგორც ამბობენ წელს ამხანაგობას რჩება ორმოცდა ათ ათასამდე წმინდა მოგება.

**ს. შრომაში** (სიღ. მაზ.)

[illegible] რაც ქ. შ. წ.-კ. [illegible] სკოლა არსებობს; სკოლაში 100-დე მოწაფე სწავლობს; სკოლას საკმაო ნდობა და პატივისცემა აქვს დამსახურებული.

— რამდენიმე თვეა რაც მასწავლებელ ი. ჩხატარაიშვილის თაოსნობით გაიხსნა საამხანაგო დუქანი „იმედი"; დუქანს გლეხები მართლა იმედის თვალით შეჰყურებენ.

— ადგილობრივი სამკითხველოთი ჯეროვანათ სარგებლობს გლეხობა; სამკითხველოს მოსდის: „საქართველო", „თანამედ. აზრი", „სახ. ფურცელი", „ზვირთი", „თეატრი და ცხოვრება", „ეშმაკის მათრახი" და რუსული გაზეთი „День"-ი.

**დ. ლაგოდეხი** (სიღ. მაზ.)

წარსულ კვირას აკურთხეს განსვენებულ ვაჟას სახელობაზე გახსნილი უფასო სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

— არსებობს „შრომა-ლაგოდეხის" სათეატრო სექცია, რომელიც დრო გამოშვებით შრომასა და ლაგოდეხში მართავს სახალხო წარმოდგენებს.

**კაბალის საზოგად.** (სიღ. მაზ.

შესდგება რამდენიმე სოფლებიდან; დასახლებულია იმერლებით; ამდენ ხანს არავის უზრუნვია აქ სკოლის დაარსებისათვის.

— ქ. შ. წ.-კ. ს. გამგეობას აღებული აქვს აქ სკოლის გახსნის ნებართვა; დაუქირავებიათ დროებით სკოლისათვის შენობა, შეუძენიათ აგრეთვე ღარიბი სასკოლო ავეჯეულება; მესხიასავით მოელიან მასწავლებელს.

## მილოვ-ადელხანოვის საქმე

ადელხანოვ-მილოვ-ოსეპიანც-ჩარეკიანცის საქმე გადაეცა გამოსაძიებლად საგანგებო საქმეთა გამომძიებელს ბ-ნ ჟუკოვს. როგორც ამბობენ, საპოლიციო გამოძიების დროს, გარდა მთავარ მომქმედ პირთა, 40—50 კაცს ჩამოერთვა ჩვენება. რომელი მათგანი ჩავარდება გამოძიებაში, რომელი არა, ჯერ საიდუმლოდ არის დაცული.

## ხსნა მეურნეობაშია

დიდი მტკიცება და ზედმეტი სიტყვაობა საჭირო არ არის, უამისოდაც ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენი ქვეყანა მეურნის წილხვედრია. მოგახსენებენ უფალმა თავის სიუხვის კალთა ჩვენს ქვეყანას დააბერტყა, სიუხვისა და დოვლათის „ქუდბედი" უწყალობაო. ჩვენი ძველები მიწის მუშები იყვნენ და აკი უცხოელებმაც (ბერძნებმა) მისთვის უწოდეს საქართველოს „გეორგია". ჩვენს წინაპრებს.

(ილია ჭავჭავაძის სიტყვით) ცალ ხელში გუთანი ეჭირათ და მეორეში ხმალი. გუთნით ის იკლავდა სიმშილს, ხმლით იცავდა თავის სამშობლოს. ხმალი დღეს ქართველისათვის ზედმეტი ბარგია. ცხადია მას მტერი ახლაც ჰყავს, მაგრამ მის მოსაგერებლად ხმალი უძლურია, ამიტომაც მეტი ჯანი არ არის უნდა აღსრულდეს წინასწარმეტყველის სიტყვა—„ხმალი უნდა გადაკეთდეს ნამგლად".

ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონები, მამულისა და მიწა-წყლის პატრონები —თავად-აზნაურობა ადვილად ვერშეეთვისა ახალ დროს, ამ წოდებამ გუთანს ისევ ხმალი ამჯობინა და ამ ხმლის ტარებას ანაცვალა მამულ-დედული. სისხლით და ოფლით მორწყული ხოდაბუნები, მამა-პაპათა სალოცავები, წინაპრების ნეშტით სავსე ადგილები ხმლის ჩამოკანკურებაში, ტარტანელ ტარასკონელივით აღჭურვაში და არალ-თარალეში „გააპრადალეს" ყოველივე, მამულის უმეტესი და საუკეთესო ნაწილი უცხოელებს დაუმტკიცეს, თვით კი „სხვათა მაზიარებელნი დარჩნენ უზიარებელნი"...

თუმც გვიან, მაგრამ საბედნიეროთ თავადაზნაურობაც გამოფხიზლდა, ბრწყინვალე წოდების ზოგიერთი შვილები შევიდნენ უმაღლეს სამეურნეო სასწავლებელში, იმ განზრახვით, რომ ისინი ისევ დაუბრუნდებიან სოფელს, ჩაუდგებიან სათავეში სოფლის საჭიროებას და სოფლად ააყვავებენ მეურნეობას. მიზანი მშვენიერი და მოსაწონია, მაგრამ ეს პირველი მერცხლები თავიანთ მისიის შემასრულებლად უძლური გამოდგენ, თავად-აზნაურულ

ტრადიციას ვერ უღალატეს და უმაღლეს სამეურნეო ცოდნით აღჭურვილები გაექცნენ სოფელს, გაექცნენ მეურნეობას და ისევ მოხელეობა, ისევ კანცელარიებში სამსახური და 20 რიცხვის ტრფიალი ამჯობინეს.

ასეთი უნუგეშო მდგომარეობაც წარმავალი გამოდგა, დემოკრატიული მრწამსი იმარჯვებს და ნასწავლ მეურნეთა რაზმიც მრავლდება. ნასწავლ მეურნეთა მეორე თაობა (თუ შეიძლება ასე უწოდოთ) სოფელს არ გაურბის, პირიქით ის სოფელს ესისხლხორცება და ცდილობს მას (სოფელს) სავსებით შეეთვისოს და სოფლის ლხინ-ჭირი გაინაწილოს და მასში შეგნება შეიტანოს.

აი ამ კეთილშობილური აზრით ამ ხუთი წლის წინად თბილისში დაარსდა **ქართული სამეურნეო საზოგადოება.** სამეურნეო საზოგადოება (ცხადია ამ საზოგადოების მიზანია მეურნეობის გავრცელება) ამ ნახევარ საუკუნის წინად თვით მთავრობამ დააარსა თბილისში კავკასიის სამეურნეო საზოგადოება, რომლის განყოფილება ქუთაისშიაც გაიხსნა, მაგრამ როგორც წესია ზეიდან ბოძება ყოველივე „მოწყალების" ისე აქაც, მეურნეობითაც კი ლამობდენ ჩვენს გადაგვარება-გადამახინჯებას. ამითი აიხსნება ის, რომ საქართველოს დედა ქალაქ თბილისში არსებულმა სამეურნეო საზოგადოებამ ნახევარი საუკუნის არსებობის ხანაში ქართულ ენაზე ერთი სამეურნეო წიგნაკიც კი არ მოგვცა. საზოგადოების სოფლად მოსიარულე მეურნე-ინსტრუქტორები თითქმის ყველა უცხოელი, ან გადაგვარებული გამხაროვები, რომლებიც ქართულად საუბარს გაურბიან და ქართველი აგრონომი ქართველ გლეხს თარჯიმნის საშუალებით ემუსაიფება, არც საკვირველია მშიერი ფინია იმისათვის თუ ყეფს, ვინც მას ფინჩხას უყრის. ამ აგრონომების დიდი უმეტესობა სოფლად ისეთივე მოხელენი იყვნენ, როგორც ბოქაულები.

ქართული სამეურნეო საზოგადოება ჩვენებურ დაცემულ მეურნეობას მხსნელად მოევლინა. მისი ინსტრუქტორები ხალხის ღვიძლი შვილებია. ამ საზოგადოებამ ამ მცირე ხნის განმავლობაში საგრძნობი ნაყოფი მოიტანა და შემდეგში კიდევ მეტს გვპირდება. ცხადია უნაკლულო არაფერია და ნაკლი ამ საზოგადოების მოღვაწეობასაც მოეძებნება, მაგრამ მას ღირსება მაინც მეტი აქვს, ვიდრე ნაკლი. ყველაზე მეტი ნაკლი ამ საზოგადოების წესდებაშია და აი რა. ქართული სამეურნეო საზოგადოების მოქმედების ფარგალი შემოისაზღვრება მხოლოდ თბილისის გუბერნიით, საქართველოს დანარჩენი ადგილები მის სამოქმედო ფარგლებში არ შედის, ამ რიგად ის კუთხურია, მოწყვეტილია მთელს. ჩვენის აზრით კი ასეთი განცალკევება საზარალოა—ძალა ერთობაშიაო, ამბობენ აქ კი ეს ერთობა ქუცმაცდება. ვისაც ჩვენი ქვეყნის მეურნეობის აყვავება აინტერესებს იმას უნდა აინტერესებდეს მთელი საქართველოს ბედი და არა ერთი რომელიმე გუბერნიის. ამის მიხედვით ეს საზოგადოებაც მსგავსად ქართ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, უნდა მოქმედებდეს მთელ საქართველოში, მისი მთავარი გამგეობა უნდა იყოს თბილისში, განყოფილებები კი არამც თუ თვალსაჩინო ადგილებში, არამედ ყველა სოფელში, საცა კი 20—30 წევრობის მსურველი აღმოჩნდება. მაშინ საზოგადოებას შეძლება ექნება ნახევრად მიცვალებული სამეურნეო ჟურნალის „მოსავლის" მაგიერ გამოსცეს მართლა სერიოზული და შინაარსიანი ჟურნალი, გამოსცეს სამეურნეო წიგნაკები პლაკატები და სხვა. შესძლებს გამართოს იარაღების, თესლების და სამეურნეო წამლების საწყობი. მაშინ (თუ ეს ასე მოხდება) ზუგდიდელებს აღარ დასჭირდებათ აეკვიატონ სოხუმელ მარკოვიჩ-კვარაცხელიებს და გახსნან ეროვნული მთლიანობის დამქსაქსავი განყოფილება, არამედ მეურნეობის აყვავება-აღორძინების ყველა მსურველი შემოკრბება ქართული სამეურნეო საზოგადოების გარშემო და გააჩაღებს მთლიანსა და ნაყოფიერ მწყობრ მუშაობას. ამას მოჰყვება ერთი ტერმინის გამომუშავება და მაშასადამე ქართული ენა მეურნეობის ხელში აღარ დამახინჯდება. ერთი სიტყვით ამ გაერთიანების ნაყოფი, რომ დიდი იქნება ეგ ცხადია. შეიძლება ამას გადაელობოს ერთი მწვავე საკითხი—ფული, საზოგადოების არსებობის მთავარი წყარო. ქართულ სამეურნეო საზოგადოებას ინახავს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა თავის საგანგებო თანხით და ცხადია „შინ რომ ბავშვს შიან გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო" გეტყვიან და მართალიც იქნებიან, მაგრამ ამის მოვლა შეიძლება აი როგორ. იქნებ ქუთაისის თავად-აზნაურობამაც შესძლოს იმდენივე თანხის გადადება, უფროს ძმასთან გათანასწორება, და თუ ვერ შესძლებს დაე, მაშინ თბილისის თავად-აზნაურობის თანხა თბილისის გუბერნიის მეურნეობის გაუმჯობესებას მოხმარდეს საკუთრად, ოღონდ დანარჩენში გავერთიანდეთ. ჩემის აზრით ქართული სამეურნეო საზოგადოების მართლა და **ქართულ სამეურნეო საზოგადოებად** გარდაქმნა ფრიად საყურადღებო კითხვაა და იმედი მაქვს ამის შესახებ ჩვენი პრესა თავის აზრს გამოსთქვამს.

**აჭარელი მეურნე.**

# თანამედროვე ომი და პროფ. გრედესკული

IV

(დასასრული)

ამ წერილებში სრულიადაც არ გვაინტერესებს ის საკითხი თუ ვინ იყო ამ საშინელი ომის მოსაბაბე. ჩვენთვის, ისიც საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ომი იგი აუცილებელი იყო და თუ დღეს არ, ხვალ მაინც მოხდებოდა. რევანშის წყურვილით გატაცებული საფრანგეთი ციხის ახალ-ახალ პრინციპებს იგონებდა, თუმცა იმავე პრინციპებით გერმანეთმა მეტად ისარგებლა და მათს სახელოვან ბელფორს მეცის ბურჯი დაუპირდაპირა. ამავე მიზნით საფრანგეთმა დიდი უნარი გამოიჩინა ჰაერის ფლოტის შესაქმნელად, ჰაეროპლანების პრინციპსაც ევროპაში მან პირველმა მიაგნო, თუმცა აქაც გერმანელებმა შესანიშნავად ისარგებლეს და იმავე პრინციპზე ააგეს არა ნაკლებ სახელოვანი „ტაუბესი" და „ალბატროსების" ტიპის ჰაეროპლანები. ორმოცი წელია საფრანგეთის ზრუნვა სამხედრო ძალთა კამტკიცებისკენ იყო მიმართული, ორმოცი წელია შიშით და თრთოლვით დაჰკანკალებდა რუსეთთან დამოყვრებას, რათა ზურგი მუდამ ამ ძლიერი სახელმწიფოთი ჰქონოდა გამაგრებული, ორმოცი წელია შიშითვე შეჰყურებს როგორც ის, ისე ინგლისი გერმანეთის მრეწველობის განვითარებას, და, რაც უფრო საგულისხმიეროა, უგვირგვინო და უხმალ-კაპარჭო ისეთ მეფე—სარდალთა ლაშქრობას, როგორიც გახლდნენ გიოტე, შილლერი, კანტი, ფიხტე, ჰეგელი, ვილჰელმ ვუნდტი, ჰეგელი და სხვა, რომელნიც არასოდეს არ დაჰყრდნობოდენ მილიონ ხიშტს და ზარბაზანთა რაზმებს, მაგრამ ჯადოსნურ ძალით განამტკიცებენ გერმანეთის მსოფლიო იმპერიის სულს! მაშასადამე, კატასტროფამდე ყველა სახელმწიფოს სული საორკესტრო ინსტრუმენტებსავით მომზადებული ყოფილა, საჭირო იყო მხოლოდ დირიჟორის ხელის დაქნევა. ამისთვის კი საბაბი უნდა მოენახათ და თუ ვერ იპოვიდნენ, ხელოვნურად შეჰქმნიდნენ, როგორც ეს სთქვა ერთ დროს მოხუცმა მოლტკემ.

ამავე წერილში სრულიადაც არა გვსურს შევეხოთ იმ საკითხს თუ ომის დროს რამდენად ზნეობრივია თუ უზნეო ნეიტრალ სახელმწიფოთა საზღვრების გადაქელვა. არსებითად ყველგან ძალოვანის მუშტია კანონმდებელი და სუსტის პროტესტებს არ დაგიდევთ. შორეულ ისტორიას ნუ მივმართავთ, დავუბრუნდეთ დღევანდელ ომს: თუ გერმანეთმა ლიუქსემბურგის სამთავრო და ბელგეთი გადაჰქელა, სამაგიეროდ ინგლისმა და საფრანგეთმა ფაქტიურად დაიმორჩილა საბერძნეთი, მის დაუკითხავად ხელთ იგდო სალონიკი, რკინის გზები, კუნძულები. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ბელგეთმა იარაღს მიმართა უფლების დასაცველად, აქ კი საბერძნეთი საკუთარ სისუსტეს ჰგრძნობს და ულონო და უმნიშვნელო პროტესტებით კმაყოფილდება. ახლა ჯერი რუმინეთზე მიდგება. თქმა არ უნდა, ესეც მუშტს დაუწყებს ყურებას და მას მიემხრობა, ვინც უფრო ძლიერი იქნება.

მაგრამ, როგორც ვსთქვით, ეს საკითხი არ გვაინტერესებს ამ ჟამად. არის უფრო საგულისხმიერო, ერთის შეხედვით, სფინქსისებური მეტყველების საკითხი, რამაც საბოლოოდ უნდა ლიკვიდაცია მიაყენოს სოციალისტურ აზროვნებას. ეს გახლავთ გრედესკულის მიერ გაკვრით აღნიშნული ფაქტი, რომ გერმანეთის მილიტარიზმის შემუსვრას ჰქადაგებენ ისეთი სახელოვანი მოაზრენი, როგორიც გახლავთ კროპოტკინი, პლეხანოვი, ბერგსონი, ჩვენის მხრით დავუმატებთ ანატოლ-ფრანსს, ვანდერველდეს, გედს, გუსტავ ჰერვეს, კომპერ მორელს და სხვებს. მაგრამ, მეორე მხარესაც ხომ ჰყავს თავის საამაყო მოაზრენი, როგორც ვუნდტია, ჰეკელი, შეიდემან, ჰააზე, თუ ნეიტრალ სახელმწიფოდან გეორგ ბრანდესი და სხვა. ვინაა ამათში მართალი? ბერგსონ-კროპოტკინი თუ ვუნდტ-ჰეკელი, რომელთაც ომის გამოცხადების დღიდანვე ოქსფორდისა და პარიზის უნივერსიტეტებს უკან დაუგზავნეს ორდენები და დაბეჯითებით მოითხოვეს, თქვენს საპატიო წევრებად ნუ გვთვლით, რადგანაც ეს შეურაცხყოფას გვაყენებსო! ჰო და ვინაა მართალი, ჰააზე თუ პლეხანოვი? შეიდემანი თუ ემილ ვანდერველდე, რომელმაც მინისტრის პორფელის აღებისთანავე მეფე ალბერტთან ერთად დაიწყო ბელგელ ჯარების ლოცვა-კურთხევა? პროფესორი გრედესკული, რომელიც ლექციების კითხვით კმაყოფილდება თუ ის აჟარებელი მეცნიერ-პროფესორნი, რომელთაც იარაღი აიღეს და ბრძოლის ველზე არიან დღესაც? მაშ ვის მივცეთ უპირატესობა? გედს თუ პირველ ხანებშივე თავის ნებით გასულ სოციალ-დემოკრატთა სიამაყე ახალგაზრდა ფრანკს, რომელიც საფრანგეთის ველზე დაეცა პირველ რიგში? ჩვენ ვიტყვით: **ყველას!** იმიტომ, რომ თვითეული ინსტიქტიურად გამოდის თავის სამშობლოს სიყვარულით. აი, სწორედ აქ იჩინა ეროვნულ ფილოსოფიამ თვისი ძლიერი სახის მეტყველება, რომელიც თვითეულ ერს თავის ღერძის გარშემო ატრიალებს და დანაშაულსაც მის გამმართლებელ raison-ად სთვლის! არა სტყუის ბერგსონი, როგორც არ სტყუვდება ვუნდტი-ჰეკელი! ასევე ითქმის სოციალისტთა თავზე. ტრაგედია, რასაც განიცდის დღეს გერმანეთის სოციალ-დემოკრატია, ტრაგედია გახლავთ მთელი ამ მსოფლმხედველობისა, მთელი მარქსისტული მოძღვრებისა. პლეხანოვის ისტორიული სიტყვები რომ „პროლეტარიატი უნდა მთელი ძალ-ღონით აღუდგეს იმ ნაციას, რომელიც სცდილობს მას უღელი დაადგასო" [1]), ასეთივე მოწოდებანი საფრანგეთის ახალ ტრიბუნ ჰერვეს მიერ, ეს იმ ჰერვეს მიერ, რომლისთვის „სამშობლო" მხოლოდ სასაცილო ტერმინი იყო და ბროშურას ბროშურაზე სცემდა **„მათი სამშობლოს"** სათაურით, არსებითად არ განსხვავდება ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობიდან. თუ პლეხანოვის სიტყვის თანახმად გერმანელი სოციალ-დემოკრატები ჯარებში ჩაეწერნენ და ჰუნების საკადრის საქმეს სჩადიან, ხომ ამასვე ეწევიან ბელგიელი და ფრანგი სოციალისტები! მაშ რა ღირებულება ჰქონია ამ მოძღვრებას, თუ კი ცხოვრების ლოღიკასთან შებრძოლების პირველ ნაბიჯზევე ასეთს სასტიკ მარცხს განიცდიდა?

ფრიად დამაფიქრებელია სოციალისტთა აზროვნების დღევანდელი ტრაგედია. ფორმა და დოღმა ამ მოძღვრებისა სრულიად გაფასებულ იქმნა ისტორიის ფილოსოფიის მიერ. ის, რასაც პროფესორი გრედესკულები ებრძვიან როგორც „ძალის კულტს", ეხლა პლეხანოვთა მიერ შეწყნარებულია: რომ მტერს პასუხი გავცეთ, „უნდა ძლიერნი ვიყოთო", ამბობს იმავე ბროშიურაში ბ-ნი პლეხანოვი. რაში გამოიხატება ამა თუ იმ სახელმწიფოს ძალოვნება? რა თქმა უნდა, ეკონომიურად აღორძინება-გაღონიერებაში. ვისი წარმოებაც ძლიერია, ვისაც ღონიერი ბურჟუაზია ჰყავს, იგი გაბატონდება კიდეც. მარტო პროლეტარებს თავისით არა შეუქმნიათ რა და სახელმწიფოს, თქმა არ უნდა, არც დღეს გამოადგებიან ქვაკუთხედად. პროლეტარიატს არავითარი რეალი საშუალებანი არ მოეძებნება წინააღუდგეს უცხოელთა ექსპლოატაციის შებოჭვას, აი, ამიტომაცაა, რომ უნებურად, თითქმის უშუამავლოდ, თვითეულ ქვეყნის სოციალისტობა ხელი ხელ ჩაკიდულნი იბრძვიან არა თუ თავიანთ ქვეყნის ათვალწუნებულ ბურჟუებთან ერთად, არამედ თვით სარდლებთან ერთად, რომელთაც მთელს სიცოცხლეში მუშტს უღერებდნენ დასალუპად. მაშასადამე, საქმე ის კი არ არის, რომ გრედესკულს გაესვა ხაზი თუ ამ ომის შესახებ ვინ რას ამბობს, ვის როგორ ამართლებს ბერგსონი, კრაპოტკინი, არა ის, თუ რომელი სოციალიზმი სჯობია, „ფრანგული თუ გერმანული" (ჰერვეს სიტყვებით მოგახსენებთ), არამედ ის, თუ რამდენად მართალია სოციალისტური მოძღვრება, რომელიც ასე რიგად ხელს უშლის ამა თუ იმ ერს შეჰქმნან რეალი საშუალებანი, თავიანთ თავის დასაცველად და გასაძლიერებლად. აი, ამ გარემოებისთვის რომ მეტი ყურადღება მიექცია ბ-ნ ლექტორს, მაშინ მისი ლექცია გაცილებით საინტერესო იქნებოდა, საზოგადოება დაინახავდა ომის ფილოსოფიის უმთავრეს პრინციპებს, რომელნიც ისტორიის ფილოსოფიის ფრიად მნიშვნელოვან და დამაფიქრებელ ფურცელს შეადგენენ. ტილისმა, რომელიც ერთის შემეცნებით, ერთგვარის გატაცებით, ერთგვარ მოვალეობის შეგნებით მიდიან ყველა კლასები, ყველა აზროვნების მიმდევარი პარტიები, ბურჟუაზიული იქნება იგი, დემოკრატიული თუ არისტოკრატიული, გახლავთ სამშობლო და მისი უზენაესი ბრძნება, რასაც მხოლოდ უძღები შვილნი გაურბიან. ხსენებულმა მოაზრეებმა პირნათლად შეასრულეს მოვალეობა: ბ-ნ გრედესკულს მათი მოწმობა ტყუილად დასჭირდა.

**დ. კასრაძე.**

[1]) იხ. Г. В. Плехановъ —О войнѣ, გვ. 25.

# სანთლის ქარხნების წარმომადგენელთა და მეფუტკრეთა კრება

(დეპ.)

პეტროგრადში 20 იანვარს მოხდა კრება სრულიად რუსეთის საეპარქიო სანთლის ქარხნების წარმომადგენლებისა, რომელსაც მეფუტკრეობის მოღვაწენიც დაესწრნენ. დაადგინეს:

1. შუამდგომლობა აღიძრას მთავრობის წინაშე, რომ სანთელი, საკმელი, ფქვილი და ღვინო აუცილებელ საჭიროების საგნებად აღიარონ და მათი გადაზიდვა რიგს გარეშე სწარმოებდესო.
2. მიჰმართონ უწმ. სინოდს და მიწად მოქმედების მინისტრს, ყველგან გაიმართოს ადგილობრივი თათბირი კომიტი სანთლის შესაძენად.
3. უპირველეს საჭიროებად იქმნას მიჩნეული მეფუტკრეობის სკოლების დაარსება ორ წლიანი კურსით მაინც.
4. სასულიერო სემინარიის მეორეკლასიან სამრევლო სკოლებში შემოღონ მეფუტკრეობის სწავლება, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებშიაც.
5. უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებთან მოეწყოს მეფუტკრეობის კურსები ინსტრუქტორების მოსამზადებლად.

# ღვთისნიერი კაცი

(წერილი გორიდგან)

კვირას, 17 იანვარს გორის პირველ ლაზარეთში ერთი კვირის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. გორში ყველასათვის ცნობილი და ყველას გულითადი საყვარელი მეგობარი, ღრმა მოხუცებულობაში შესული ექიმი კ. პაველკო. კ. პაველკო ჩამომავლობით უკრაინელი იყო, მაგრამ შეეთვისა-შეიყვარა რა ჩვენი მხარე მისი დაუღალავი მუშაკი შეიქმნა და სამარის კარამდე გულში თბილად ატარებდა ამ ახალის უკრაინის (როგორც იგი ეძახდა ჩვენს ქვეყანას) სახეს. საქართველო—ეს ჩემი მეორე სამშობლო უკრაინააო, იძახდა ხოლმე საწყალი და თავის მეგობარ-ნაცნობ ქართველებს ხშირად ხუმრობით ასე ეძახდა ხოლმე: „хи, вы хохлы"-ო.

მართლაც იშვიათია ასეთი გულით კეთილი და სულით სათნოიანი კაცი, როგორიც იყო კ. პაველკო. თვისი პირადი ღირსება, ნივთიერი ქონება და მთელი სიცოცხლეც ხალხს ანაცვალა, მეორე სამშობლოს შესწირა. პირველი, რითიც გორელთა ხსოვნაში ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგა პაველკომ ეს იყო მისი უსასყიდლო საექიმო დახმარება ყველასათვის განურჩევლად. მის საექიმო კაბინეტში ყველა თამამად შევიდოდა და სრულიად უსასყიდლოდ მიიღებდა საექიმო რჩევას. ეს არა კმარა,—თუ რომელიმე პაციენტი მოისურვებდა სასყიდლის შეძლევას კ. პაველკო ღარიბებზედ მიუთითებდა და ეტყოდა, წამლის ფული ვისაც არა აქვს მას მიეცითო... ამნაირად რასაც იღებდა-შოულობდა სულ ღარიბ-ღატაკთ აძლევდა, მეტ წილად ავადმყოფთ. კ. პაველკომ სრულიად უსასყიდლოდ თავს იდო ქალაქის სამართველოსთან საექიმო დახმარებისათვის გამართულ კაბინეტის მართვა, ყოველ დღე ბუარებელი ავადმყოფნი დაიარებოდნენ ქალაქის სამმართველოში და რჩევასთან ერთად იღებდნენ ზოგიერთა წამლებით დახმარებასაც. ამას არა სჯერდებოდა კ. პაველკო და თვითონ დაიარებოდა ქალაქის გარედ უბნებში მცხოვრებ ღარიბებთან. „Эти, хохлы боятся меня"-ო, იტყოდა ხოლმე, კარგად იცოდა უვიცი ხალხის ხასიათი, რომ უჭირდათ ექიმთან მისვლა და ამიტომაც თვითონ დადიოდა კარდა-კარ და ავადმყოფებს ეძებდა. მთელი ლეგენდებია შედგენილი აქ კ. პაველკოზედ, ხალხი მას ღვთისნიერ კაცს ეძახდა და აი ამიტომაც გარდაცვალების მეორე დღესვე საჩქაროდ იქმნა მოწვეული ქალაქის რწმუნებულთა კრება, რაზედაც ერთხმად გადასწყვიტეს ქალაქის ხარჯით დაიმარხოს და პატივი სცენ მის ხსოვნას. მაგრამ უფრო ერთსულოვანი სამზადისი აქვთ გორის ღარიბ მცხოვრებთ, რომელნიც გოდებენ რა ღვთისნიერ კაცის დაკარგვას, მომავალ კვირას მრავლად შემოერტყმიან საყვარელ ცხედარს და სამარის კარამდე მიაცილებენ და მით მისი საუკუნო ხსოვნისათვის გულში ღრმად აღიბეჭდავენ მის სახელს.

კ. პაველკო მხურვალე მონაწილეობას იღებდა აგრეთვე საზოგადოებრივ საქმეებში. მისი მეცადინეობით გორის გიმნაზიებთან დაარსდა მშობელთა წრე, რომლის თავმჯდომარედ იყო წრევანდლამდე. მანვე ითავა გორის კოოპერატიულ მომხმარებელ საზოგადოების დაარსება და სხვა.

კ. პაველკო ფართო სახელმწიფო რეფორმებისაკენ ილტვოდა და მისი სიმპატია ამ ბოლო დროს მეტადრე ჩაგრულ ერების თავისუფალ დროშისკენ იყო მიმართული.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ღვთისნიერო კაცო...

**ურბნელი.**

# მოსკოვში მომხდარ ამბების გამო

სატახტო გაზეთებში გამოქვეყნებულია სენატორ კრივოშეინის მოხსენება, შარშან მაისში მოსკოვში მომხდარ ამბების, მთავრობის ტერმინოლოგიით პატრიოტულ მანიფესტაციის შესახებ. მკითხველის თვალის წინ იშლება საზარელი, წარმოუდგენელი სურათი ადამიანის ველურობისა. რუსეთის დედა ქალაქში ათი ათასობით შეგროვილმა ბრბომ, მაქსიმ გორკის გმირებისაგან შემდგარმა დაჰკარგა სახე ადამიანისა და განადირდა ამ სიტყვის სრულის მნიშვნელობით.

საერთო აღფრთოვანების ამ დროს პატრიოტულმა მანიფესტაციამ სავსებით გამოამჟღავნა რუსის ხალხის სტიქია, გამოაშკარავა მის ბუნებაში ღრმათ ჩამარხული თვისებანი, რომელიც ჩვეულებრივ დროს ადვილი შესამჩნევი არ არის.

მრავალ ერს ჰქონია შემთხვევა საკუთარი სახის განსახიერთებისა, მაგრამ მოსკოვის ამბები უმაგალითო მოვლენას წარმოადგენენ. მართლა უმაგალითოა კაცობრიობის ისტორიაში, რომ „მამულიშვილური" აღმაფრენა ისე მოკლებული იყოს ყოველგვარ კეთილშობილურ და ადამიანურ ნიშანწყალს, როგორც ეს იყო მოსკოვში. ძნელი მოსაძებნია მეორე მაგალითი, რომ ხალხს სამშობლოს განკითხვის დღეს თავისი მამულიშვილური აღმაფრენის მსხვერპლად დიაცთა უსაშინელესი სიკვდილი (ზარულებში ჩახრჩობა) და მილიონებათ ღირებულ, ქონების ცარცვა-დაწიოკება დაესახოს.

სავალალო და მნიშვნელოვანია იგი მით უფრო, რომ ეს მოხდა მოსკოვში, სადაც უფრო გავრცელებულია ლ. ტოლსტოის კაცთმოყვარე მოძღვრება, სადაც გაისმის სლავიანოფილთა ხმა ხალხის მსოფლიო მისიონერობის შესახებ და სადაც ძლიერია სწორედ ის მოძრაობა, რომლის გაუნაღდებელი თამასუქები ბლომად უწყვია ქართულ მემარცხენე მიმართულებათ.

# რუსეთი და მისი ეროვნებანი

(პროფ. გრედესკულის მეორე ლექცია).

18 იანვარს პროფესორმა ნ. ა. გრედესკულმა საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში წაიკითხა მეორე ლექცია: „რუსეთი და მისი ეროვნებანი". ლექტორის მიზანი იყო მსმენელთათვის დაესურათებინა რუსეთისა და მის მრავალ ეროვნებათა მომავალი, თუ, რასაკვირველია, გამარჯვებული გამოვა რუსეთი ამ მსოფლიო ომიდან. შესავალში პროფესორი შეეხო თანამედროვე მსოფლიო ამბავს და მისგან ნაკარნახევ მსოფლიო პერსპექტივებს კაცობრიობის ცხოვრებაში. რითიც უნდა გათავდეს ეს ევროპიული ომი, უეჭველი და ცხადია, რომ მის შემდეგ დაიწყება ახალი ხანა, რომელიც სხვა კალაპოტში ჩააყენებს კაცობრიობის მსვლელობას.

ლექციის პირველი ნაწილი მოანდომა სახელმწიფოს, „მამულის" და „დიდ სახელმწიფოს" ცნებათა ახსნასა და განმარტებას: საერთოთ უნდა გამოვტყდეთ, რომ პატივცემული პროფესორის ორთავე ლექციას, უფრო სააგიტაციო ხასიათი ჰქონდა, ვიდრე დარბაისლურ-აკადემიური, რომელსაც უფრო მოველოდით მისგან. სახელმწიფოს ჩასახვის, ზრდის და განვითარების უმთავრეს და აუცილებელ ფაქტორად უნდა [illegible] ეს აიძულებს ამა თუ იმ [illegible] ურთიერთ შორის შეკავშირებას სახელმწიფოს ფარგალში. სახელმწიფო ისახავს სამხედრო მიზანს; საჭირო და აუცილებელი ხდება მფლობელთა ანუ მთავრობის გამოყოფა. სახელმწიფო უზრუნველჰყოფს მორჩილთა, ანუ მოქალაქეთა მშვიდსა და მყუდრო შინაურ ცხოვრებას, პირად თავისუფლებას და პიროვნულს თვითმოქმედებას. ჩნდება უფლება რომელიც საფუძვლათ ედება სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას. იბადება „უფლებრივი" სახელმწიფო, რომელშიც თვითეული მოქალაქის უფლება და მოვალეობა დაურღვეველ კანონში ჩამოყალიბებულა; თვითეული ადამიანის შეგნებაში არსებობს ერთგვარი თანხმობა, მოვალეობასა და უფლების ურთიერთ შორის დამოკიდებულებათა შესახებ. ეს არ კმარა. სახელმწიფო ზრუნავს და კისრულობს ისეთს საქმეებს, რომელნიც მოქალაქეთა ცხოვრების კეთილ-დღეობისაკენ არის მიმართული. აწესებს სასამართლოებს, სათავეში უდგება სწავლა-განათლების საქმეს და აარსებს სასწავლებლებს, აშენებს სხვა და სხვა საჭირო საზოგადოებრივ შენობებს; ხსნის სამკურნალოებს, გაჰყავს გზები, ხელს უწყობს სამეურნეო-ეკონომიურ ცხოვრების გაძლიერებას, ერთის სიტყვით „უფლებრივობასთან" ერთად ჩნდება „კულტუროსნობა" სახელმწიფოს მოქმედებაში. ამისთანა „უფლებრივ" და „კულტურულ" სახელმწიფოში თვითონ ხალხია უმთავრესი მომქმედი პირი საზოგადო კეთილდღეობის შექმნაში. აქ არ არსებობს მწვავე ანტაგონიზმი მთავრობასა და მოქალაქეთა შორის, რადგან აქ პირადი კეთილ-დღეობა მჭიდროთაა დაკავშირებული სახელმწიფოს კეთილ-დღეობასთან, იგი ძვირფასი და სანუკვარი ხდება, „უმაღლეს ღირებულებას" წარმოადგენს მცხოვრებთა შეგნებაში, იგი ხდება მათ „მამულათ" „სამშობლოთ", აქ იბადება და იზრდება ნამდვილი „მამულიშვილი"—მოქალაქე. სახელმწიფო თანდათან ფართოვდება, იზრდება მისი ტერიტორიალური საზღვრები, ომისა და დაპყრობითი სისტემის წყალობით მას უერთდება სხვა და სხვა ხალხი ნაცია ანუ ეროვნება. ეროვნებას ახასიათებს უმთავრესად ამა თუ იმ ხალხის ურთიერთშორის სულიერ კავშირის არსებობა. ეს სულიერი, უხილავი თვითშეგნებაა, რომ ანათესავებს და სულიერათ ადუღაბებს და ჰქმნის ერთ დიდ „კოლექტიურ პიროვნებათ", როგორც უწოდებდა ნაციას ვლადიმ. სოლოვიოვი. მე-19 საუკუნემდე სახელმწიფოში ეროვნული საკითხი თითქმის არც კი არსებობდა: ყოველი დიდი სახელმწიფოს მთავრობა შეერთებულ და დაპყრობილ ეროვნების მიმართ აწარმოებდა დენაციონალიზაციის პოლიტიკას; ასეთი გადაგვარების გაბატონებული პოლიტიკა ერისა არსებითად სწყვეტდა ეროვნულ საკითხს. მე-19 საუკუნიდან ჩნდება ეროვნული საკითხი, იწყობა ეროვნული მოძრაობა და ომები, მართლაც თითქმის ჩვენს თვალწინ გაინთავისუფლეს თავი იტალიამ, საბერძნეთმა, სერბეთმა, ბულგარეთმა და სხვათ. დ დაიარსეს თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფონიც კი.

თანამედროვე ევროპიულ ომსაც საფუძვლად სწორეთ ეს ეროვნული ხასიათი უდევს. სამკვდრო სასიცოცხლოთ ებრძვის ერთმანეთს ორი, ერთი მეორის მოწინააღმდეგე და მომსპობი პრინციპი—გერმანული დენაციონალიზაციისა, ცენტრალიზმისა და ინგლისისა—დეცენტრალიზაციისა და ფედერალიზაციისა. უნდა გაიმარჯვოს ინგლისმა, როგორც სამართლიანად და გონივრულად სწყვეტს ეროვნულ საკითხს. ჭეშმარიტად „დიდია" მხოლოდ ის მრავალ ეროვნებიანი სახელმწიფო, რომელშიც ეროვნული გამწვავება არ არსებობს ავტონომიურ-ფედერატიულ პრინციპის წყალობით. მხოლოდ ერთი „დიდი" სახელმწიფოა თანაგრძნობის და მიბაძვის ღირსი, რომელიც წაიყვანს მრავალფეროვან ეროვნულ სამყაროს უკეთესი მომავლისკენ.

(დასასრული იქნება)

**დ. ჯ.**

# სიმონ ბერძნიშვილის ხსოვნას

გაზეთებში უკვე იყო ოდნავ აღნიშნული ვინაობა გარდაცვალებულისა. ორიოდე სიტყვას ჩვენც დაუმატებთ უკვე ნათქვამსა.

სიმონ ბერძნიშვილი დაიბადა სოფ. კისისხევში 1854 წელს. დედ-მამა შეძლებული ჰყოლია, მაგრამ ექვსის წლისა დაობლებულა და მახლობელ

ნათესავებს ჯეროვანი პატრონობა არ გაუწევიათ მცირე წლოვან ობლისათვის. აუყვანიათ და შეგირდათ მიუბარებიათ შვიდი წლის ბავშვი ერთ თელაველ მეჩექმესათვის. ჯერ ეხლა რა არის შეგირდათ ყოფნა და ბატონყმობის დროს რა უნდა ყოფილიყო, მერე ისიც მეჩექმესთან! ენით არ გამოითქმება ის გაჭირება, რაც სიმონს თავს დასტეხია შეგირდობაში და რაც შემდეგ დაწვრილებით უამბნია განსვენებულს. მაგრამ, ეტყობა, თუ კაცს მადლი რამ სცხია, თუ გულში ღვთაებრივი რამ ცეცხლი უღვივის, მათი აღხოცვა და წარწყმედა არც ისე ადვილია სოფლის ბრუნვითა და სიმუხთლითა...

მაგრამ ღმერთი არ გასწირავს
კაცსა შენგან განაწირსაო,—

უთქვამს ბრძენს პიიტიკოს და მართალიც უთქვამს.

სიმონ ბერძნიშვილი ვერ გასტეხა წუთი სოფლის უმადურობამ, ჯერ შეგირდად იყო, მერე ქარგლობა გასწია და ბოლოს საკუთარი სახელოსნოც გაიჩინა თბილისში, უკვე დაცოლშვილებულმა სოფ. ქურთაში, ცხინვალის მახლობლად. ობლის კვერი ცხვა და, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც გამოცხვა. უფრო სულიერ კვერსა ვგულისხმობ, თუმცა არც ნივთიერი კვერი დარჩა განსვენებულს სულ გამოუმცხვარი და დაკუტებული. და აი სწორედ ამ სულიერის კუტის ცხობაა, ჩემის ფიქრით, საინტერესო და საგულისხმიერო.

როგორც ვსთქვით, სიმონი ზეგარდმო მოწამებრივი მადლითა და ბუნებრივის ნიჭით იყო დაჯილდოვებული. სკოლაში არსად არ უსწავლია. თუ იცოდა რამ თავისით ჰქონდა შესწავლილი და თავისი ნიჭის წყალობით შეთვისებული. ამ მხრივ იმ ძველებურს ქართველებსა ჰგავნდა, რომლებსაც გარეშე რუსულის სკოლისა და აღზრდისა, არ უჭირდათ არც რიგიანი და მართებული სიტყვა-პასუხი, არც დაფიქრებული და გონივრული მსჯელობა ჩვენის საჭირბოროტო საქმისათვის.

სიმონი დიდის ხალისითა და ბეჯითობით ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენს მწერლობას, კითხულობდა ჟურნალ-გაზეთებს და არა იშვიათად თვითონაც იღებდა მონაწილეობას გაზეთებში: სწერდა სხვა და სხვა შენიშვნას, ამბავსა და კორესპონდენციას. მისი ყურადღება მიქცეული ჰქონდა უმთავრესად ფეხსაცმელების მკერავთა მდგომარეობას, მათს ორგანიზაციას და პროფესიულს დარაზმვა-დაკავშირებას.

იმ ხანად სიკოს, როგორც მახლობელნი ეძახდნენ, საკმაოდ ბლომად ჰყავნდა ინტელიგენტი მეგობარნი სამღვდელოთა, მემამულეთა, ვაჭართა, მწიგნობართა ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელთა შორის. სიმონს უკვე მთლიანი მსოფლ-მხედველობა ჰქონდა შეთვისებული და ბრძოლის დროს გარკვეული პოზიცია ეჭირა. ის იყო შეგნებული ხელოსანი ეროვნულ დემოკრატიულის მიმართულებისა, სრულიად და სავსებით აღზრდილი ქართულ მწერლობასა და ლიტერატურაზედ და გულის ტკივილით შეჰყურებდა იმ უმწიფართ, რომელთაც ქართველობა და ქართული მამულიშვილობა არა სწამდათ.

მაგონდება ერთი საინტერესო და დამახასიათებელი ამბავი ჩვენის მწერლობის წარსულისა. ეს ამბავი სიმონის მწერლობას შეეხება და ამიტომ მეტი არ იქნება მისი აქ გახსენება, შემოკლებით მაინცა.

მეორე თუ მესამე წელიწადი მიდიოდა „ივერიის“ ყოველ-დღიურ გაზეთად წარმოებისა. გაზეთს მაშინ არა ერთი და ორი მტერ-მოყვარე ჰყავნდა უფრო იმათ შორის, ვინც მოქართულე რუსულ გაზეთებში სწერდნენ „ურას“ ძახილის კილოზედა. იმათის აზრით, გაზეთი „ივერია“ უსიცოცხლო იყო, უმარილო, ელფერს მოკლებული, ლეჩია და უკბილო. ამ დროს დაიბეჭდა „ივერიაში“ ცალკე ფელეტონად სიმონ ბერძნიშვილის წერილი, რომელიც შეეხებოდა ფეხსაცმელების მკერავთა ჰამქრის მდგომარეობას თბილისში, მათ საერთო საჭიროებასა, ზნეობრივ და გონებრივ ამაღლებასა და ნივთიერ ყოფა-ცხოვრების განკარგებას. წერილი რედაქციის მიერ ხელ-ახლად იყო დაწერილი, რადგან უსწავლელსა და გაუწვრთნელ მწერალს უსისტემოდ ჰქონდა დაწყობილი ფრიად საინტერესო მასალა. თვით ქართული და საზოგადოდ სტილი კი წერილისა მართლა შესანიშნავი იყო. ზემოხსენებულნი მტერ-მოყვარენი აღტაცებაში მოვიდნენ და ასტეხეს განგაში, აი რა წერილი დაიბეჭდა „ივერიაში“, ცოცხალი, საინტერესო, ყოვლად საყურადღებოვო. ახალი ავტორი არაფრით არა ჰგავს „ივერიის“ დუნე, ლეჩია მწერლებსაო. რა იცოდნენ ამ მაშინდელმა „ურა“-ლიტერატორებმა, რომ მთელი წერილი უპრეტენზიო ავტორისა ხელ-ახლად იყო შემუშავებული და დაწერილი რედაქციის ერთ-ერთის თანამშრომლის მიერ და, თუ ხსენებული წერილი ისე უზომოდ მოეწონათ, არა გვგონია, იმიტომ რომ შიგ საოცარი ქართული იყო—ამის დაფასების ალღოს მოკლებულნი იყვნენ,—არამედ იმიტომ რომ ცხოვრების უცნობი, ახალი სფერო იშლებოდა მკითხველის თვალწინ ამ წერილითა, რომელსაც თან, ცოტად თუ ბევრად, ლიტერატურულად შემუშავებაც არ აკლდა.

ასე იყო თუ ისე, ამ ფელეტონმა ლიტერატორის სახელი მოუპოვა იმას, ვინც ამ სახელს არ ეძებდა, ან ძალიან ნაკლებად ფიქრობდა ამ სახელის მოხვეჭისათვის. ამ სახელის მოპოვება მწერალთა მცირე გუნდის წარმომადგენელთა შორის თვითონაც ძლიერ უკვირდა სიმონს და—რადგანაც თვითონ რუსული ნაკლებად იცოდა და რუსული გაზეთის კითხვა არ შეეძლო, არა ერთხელ მოუმართავს ამ სტრიქონების დამწერისათვის თხოვნით, მიამბე ერთი, გეთაყვა როგორ იყო, დიდ მწერლად რომ გამომაცხადესო.

მწერლის სახელის მოხვეჭა-კი არა, იმისი სურვილი და ნატვრა ის იყო, რომ მეტი შეგნება, მეტი ადამიანობა, მეტი ნივთიერი დოვლათი დატრიალებულიყო იმ წოდებაში, იმ ჰამქარში, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა და, როგორც გონიერი კაცი, ნათლადაც ჰხედავდა, ვინ და რა იყო მისი მტერი, მისი გამჩანაგებელი.

ამ აზრით ითავა და დააარსა განსვენებულმა ტყავეულობის სავაჭრო ამხანაგობა „ნდობა“, რომელიც პირდაპირ რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან იბარებდა საქონელს, მაგრამ ამ ამხანაგობამ დიდხანს ვერ დაიჭირა თავი და დიდის თანხის უქონლობის გამო ისეთს გოლიათს ვერ შეებრძოლა ეკონომიურს ნიადაგზე, როგორიც არის ნეიშელლერის ტყავეულობის ვაჭრობა თბილისში. თან გაჰქურდეს კიდეც ერთს მშვენიერ ღამეს ეს კოოპერატივი ვიღაც ბოროტ-გამზრახველებმა და საქმე ჩაიფუშა.

განსვენებულს დარჩა ქალ-ვაჟი. ქალი გათხოვილია და შეგნებულს ქართველსა ჰყავს ცოლად, ხოლო ვაჟი დაცოლშვილიანებულია, მამის ხელობას ადგია და სახლის პატრონია თბილისში.

განსვენებულს სოფლადაც დარჩა მამული, რომლის გაკეთებას შეაკლა ამ ბოლო დროს თავი მარტოხელმა, ხანში შესულმა, 62 წელს გადაცილებულმა კაცმა. სოფლის ჯაფა ვერ აიტანა, გაცივდა და ნეფრიტმა სამუდამოდ მოუღო ბოლო ჰკვიანს, აუჩქარელს, გამოცდილს, დარბაისელს, ტკბილსა და უწყინარ ქართველ კაცს.

ამბობენ განსვენებულის მამა ზაქარია მედავითნე იყო და შვილსაც მედავითნედ ამზადებდაო. ეს-კი, ვგონებ, მართალი არ არის და საღმრთო წერილში-კი სიმონი საკმაოდ იყო ნაკითხი. თავის მოსახელეს წმ. სიმეონ მიმრქმელის ლოცვის თქმა უყვარდა ხშირად, როცა რაიმე სასიამოვნო ამბავს გაიგონებდა სამშობლო ქვეყნისას „აწ განუტევე მონა შენი, უფალო, რამეთუ ვიხილე მაცხოვარება შენი“.

დიაღ, განუტევა უფალმა სვიმონი და სვიმონმა—წუთი-სოფელი, მაგრამ, სამწუხაროდ, არა ისე მხცოვანმა და არცა ისე აღფრთოვანებულ-გახარებულმა, როგორც მისმა დიდებულმა მოსახელემ; მის საყვარელ სამშობლოს ცას ჯერ ისევ შავ-ბნელი ზეწარი აქვს გადაფარებული; ჯერ კიდევ არ ვიცით, რას გვიქადის ხვალინდელი დღე, არ ვიცით, მოგვევლინება მაცხოვარი და ვიხილავთ „მაცხოვარებასა“ მისსა თუ არა.

გრ. ყიფშიძე.

## ქართველ კათოლიკეთა რიცხვი და ვაჭრობის აღორძინება ქუთაისს

II

**პავლე ივანეს ძე გოკიელი.**

გოკიელი ქართული კათოლიკეთ გვარია, ესენი სცხოვრობენ ქუთაისს, იგი ცნობილია მწერლობაშიც მკურნალის გ. გოკიელის ნაწერებით, ამათი ძველი გვარი ექიმთა გარდა მათ წინაპართ სამეგრელოს ერთს სოფელში უცხოვრიათ, აქ დადიანის წინაშე რაღაც დანაშაულის გამო დასჯა ჰქონდათ მისჯილი, ამიტომ იგინი სამეგრელოდან ახალციხეში გაქცეულან, იქ ოსმალოს მთავრათ შეხიზნულან და ბოლოს სოფელს გოკიას დასახლებულან, რაისა გამო შემდეგ მათ გვარათაც ამ სოფლის სახელი გოკიელი ეწოდათ. ამათი დაკავშირება კათოლიკის სარწმუნოებასთან მიეწერება XVIII საუკუნის დამლევს. ახალციხიდან ესენი იმერეთში ჩავიდნენ სოლომონ მეორის დროს, 1805 წ. მის მერე იმერეთში ხშირად მგზავრობდნენ. ხოლო საყოველთაოდ კი ქუთაისში არ რჩებოდენ. 1829 წ. კი რაკი ახალციხე აღებულ იქმნა, მის გამო 1830 წ. ამ პავლეს მამა ივანე თავის ძმებით ქუთაისში გადასახლდნენ და დაიწყეს თუთუნით ვაჭრობა, ამათ თურმე ვაჭრობისთვის დიდათ ახალისებდა იმ დროის გამოჩენილი ვაჭარი მეფისოვი, თავის დროს კარგად შეძლებული. ეს სხვა ქართველსაც ახალისებდა ვაჭრობისათვის.

კარგადა სჩანს, რომ ივანე გოკიელს ქუთაისში ვაჭრობის საქმე კარგად წასვლია, ვაჭრობისთვის ბევრი ვაი ვაგლახიც გაუვლიათ ამათ ვაჭრობისთვის უმოგზაურნიათ ტრაპიზონს, სტამბოლს, სპარსეთს, რუსეთს, საფრანგეთს და სხვა ქვეყნებშიაც. ამათს აღებ მიცემას ქუთაისში დიდი წარმატება მიეცა, გოკიელები ქუთაისში ვაჭრობით კარგად გამდიდრდნენ 1830 წლებსვე. ვაჭრობის წყალობით ამ გვარის წევრი ივანე საყოველთაოდ ქუთაისში დასახლდა, სადაც მას მიეცენ შვილები და ერთი ამათგანია ახლად გარდაცვალებული პავლე ივანეს ძე გოკიელი.

საზოგადოთ, დღესაც, გოკიელებს ქუთაისში ვაჭრობის საქმე ჩინებულათ აქვსთ დაყენებული, ერთ ამათგანს თბილისში თუთუნის ქარხანაც აქვს, რომელთა პაპიროსებსაც ამშვენებს თამარ მეფის სურათი და სხვა ქართველი მოღვაწენიც.

ქუთაისში მათ დიდი აღებ მიცემა აქვნდათ, ესენი პატივცემულ იქმნენ სოლომონ მეფისაგან და როგორც სანდო პირნი დაჯილდოვებულ იქმნენ აზნაურიშვილობით. ბოლოს ერთი ამათგანი მეფის ნაზირიც გახლდათ, სოლომონ მეფე ძილის დროს, მარტოდ ამას ენდობოდა, მეფე რომ დაიძინებდა, მაშინ დათიაშვილი თავზედ ადგა ხმლით და ყარაულობდა. მეფემ დათიაშვილს იმერეთში კაი მამულებიც უბოძა. ამ მამულებს დ. ისარლოვის სიტყვით დღესაც **ხალთიერი** ეწოდება თურმე.

ზ. ჭ.

## ღია ბარათი

**პატივცემულთ სიღნაღის მაზრის მომრიგებელ შუამავალს ბ-ნ ილია ჭყონიას და ბოდბისხევის მამასახლისს ბ-ნს შაქრო ნაცვლიშვილს.**

1905 წელს 12 ღვინობისთვეს რუსეთ-ჩინეთის ბანკის საშუალებით ქალაქ ხარბინიდან გადმოვგზავნე 800 მანეთი, კვიტანციის ნომერი 15,463, რაიც ბოდბისხევში წყლის გამოყვანას უნდა მოხმარებოდა. ამავე მიზნით 200 მანეთი ბოდბისხევის რწმუნებულს და ხაზინადარს სიკო ყაჯრიშვილს თვით პირადად ჩავაბარე. ამავე წელს შემთხვევა მქონდა მეკითხნა, ეს ფული დანიშნულებისამებრ საქმეს მოხმარდა თუ არა?

გაიარა რამდენიმე ხანმა გავიგეთ, ვითომც ეს ფული გაეფლანგათ. მივმართე 1909 წელს თბილისის გუბერნატორს, რომელმაც საქმე გამოიძია და შემატყობინა: 200 თუმანი გაფლანგულა, ხოლო 800 მანეთი ხაზინაში ინახებაო და მსხოვდა ეს 800 მანეთი ორკლასიან სკოლის სასარგებლოდ გარდამეცა, რომელიც უნდა სოფ. ბოდბისხევში დაარსებულიყო. მე დავეთანხმე, მაგრამ დღეს ჩემთვის გამოურკვეველია რა მდგომარეობაშია საქმე. ვისაც ვკითხე, ყველამ მიპასუხა: ფული უკანვე წაგიღიაო, რაც სიმართლეს არ შეეფერება. გთხოვთ გამოიძიოთ და გაზეთ „საქართველოს“ საშუალებით გვაცნობოთ რას მოხმარდა ეს 800 მანეთი?

პატივისცემით **ვ. ზ. ბოქოლიშვილი.**

## დაბა-სოფლები

**ახალქალაქი** (გორ. მაზ.). 16 იანვარს სოფ. ახალქალაქში მოვიდა მომრიგებელი შუამავალი თავ. ამირაჯიბი და 26 თიბათვის 1915 წ. კანონის ძალით მოახდინა არჩევნები ახალქალაქის და მეტეხის საზოგადოების მამასახლისთა. ახალქალაქის ამომრჩეველნი, ეტყობოდათ წინდაწინვე იყვნენ შეთანხმებულნი და ერთხმადაც ამოირჩიეს ადგილობრივი მცხოვრები გიგო გოგოლაძე.

ასე ვერ იყვნენ შეთანხმებულნი მეტეხის ამომრჩეველნი. მეტეხის საზოგადოება შესდგება ეხლა სამი საზოგადოებისაგან: მეტეხისა, ქვემო-გომისა და ზემო-ხანდაკის სამამასახლისოდან. ამომრჩეველნი არ იყვნენ შეთანხმებულნი, პირიქით ჯიბრს უწევდნენ ერთი მეორეს და ზემო-ხანდაკის გამარჯვებით ამორჩეულ იქმნა მათივე სოფლის მწერალი ბ. ლა—შვილი.

საუკეთესო მუშა ხელი სოფლისა გაწვეულია ომში, სოფელს მარჩენელნი ჩამოშორდნენ, ზედ დაატყდა მოუსავლობა, სიძვირე, აუარებელი ხარჯები, ხალხის და საქონლის ავადმყოფობა, ხალხის საკვები პური და სიმინდი აღარ იშოვება და თუ იშოვება პური, კოდი ღირს 13—15 მან., სიმინდი 8—9 მან.; ხალხმა არ იცის რით გადირჩინოს თავი. სოფლად გავრცელდა ჭირნახულის არყად გამოხდა, ხოლო ამას მოჰყვა ლოთობა, ქურდობა და ათასი სხვა ბოროტება.

**მტკვრისპირელი.**

## პროვინციის ქრონიკა

**სკოლები აჭარაში.**

ჩურუქსუსა და ქეთის ორკლასიან სასწავლებლებში ქართულ საქველმოქმედო მთავარმა გამგეობამ მოიწვია ორი ნასწავლი მებაღე, თითოეულს თვეში 150 მან. დაუნიშა.

**ჭ ი ა თ უ რ ა.**

წელს აქეთ მხარეს ვენახები მთლად გადახმა რადგან შაბიამანს ვერ შოულობდნენ. ამას წინად კი, ცეცხლის ჩაქრობის დროს ერთს მედუქნეს უპოვეს რამოდენიმე ტომარა შაბიამანი.

— შაქარი სრულებით არ მოიპოვებოდა. გირვანქა ექვსი შაური გახდა. ცეცხლის დროს შაქარიც ბლომად აღმოჩნდა. ახლა კი შაქარი ჭიათურაში ყოველ დუქანში იყიდება.

— შავიქვის მაღაროებში მუშაობა თითქმის სულ შეწყდა. ამდენ ხანს თითო ოროლა ურემსა და მუშებს დაინახავდით, ახლა აღარც ესაა.

**ს. ნანეიშვილისეული** (გურია).

აქ არსებობს ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საკრედიტო ამხანაგობა ორკლასიანი სასწავლებელი და აღძრეს შუამდგომლობა კოოპერატიული სავაჭროს დაარსების შესახებ. საზოგადოება მუყაითად ეკიდება საქმეს.

**თ ე ლ ა ვ ი.**

წმ. ნინოს ჩვეულებრივი დღესასწაული არ გამართულა.

— თელავის საზ. ბიბლიოთეკის წევრთა კრება გადაიდო 27 იანვრისთვის.

**ს. მუკუზანი** (კახეთი).

ამ ერთი კვირის წინად რამოდენიმე შეიარაღებული ყაჩაღი თავს დაესხენ დიდ მემამულე აღნიაშვილის წისქვილებს და მუქარით უთხრეს თუ 6 მან. უფრო ძვირად გაჰყიდით კოდ პურს (წინად თუმანი იყო) მაშინ სიკვდილი არ აგცდებათო. წისქვილები შეჩერებულია.

## მაჰმადიანთა ცხოვრება

გაზეთ „სადაი კავკაზი“ იძლევა ცნობებს ბაქოს მაჰმადიანთა დამხმარე საზოგადოების შესახებ. საზოგადოებას დაუარსებია საკუთარი ლაზარეთი რომლისთვისაც 4.000 მან. გადაუდვია თვიურად; ყარსსა და ბათომის მხარეს ომისაგან დაზარალებულ მაჰმადიანებისათვის თვეში გადადებულია 35 ათასი მან. 50 მოწაფისთვის გახსნეს თავშესაფარი. ამ საზოგადოებას დაეხარჯა 1915 წელს 107,891 მან.

## მუშათა შორის

**საქართველოს სამხედრო გზაზე.**

საქართველოს სამხედრო გზაზე მომუშავეთა პირობები განსაკუთრებულია. მთიულის შრომას აბუჩად იგდებენ ნამუშავარს უნახევრებენ, ხშირად სრულიად არ აძლევენ.

**ბ ა ქ ო.**

ბაქოს სპარსელ მუშებს მეტად ცუდ პირობებში უხდებათ მუშაობა, მათ სჩაგრავენ, აბუჩათ იგდებენ, თავის დროზე ჯამაგირს არ აძლევენ და როცა მოისურვებენ ითხოვენ სამუშაოდან.

**ბ ა თ ო მ ი.**

ბათომის რემონტის მუშები ძალიან ჩამორჩენილნი არიან. ისინი გაურბიან ქართულ გაზეთების კითხვას და სხვა კულტურულ დაწესებულებას.

**უცხოეთი.**

ქ. ბრისტოლში გაიხსნა მუშათა პარტიის კონფერენცია. დაესწრო 600 დელეგატი 2 მილიონი მუშების წარმომადგენელნი. პარტიაში შედის მაღაროებში მომუშავეთა კავშირიც, რომელშიაც 600 წევრი ირიცხება.

## რუსეთი

**ებრაელების ჩხრეკა.**

მოსკოვში გაჩხრიკეს ებრაელები, მაგრამ არავინ შეუპყრიათ.

**მგოსან ქალთა საღამო მოსკოვში.**

22 იანვარს პოლიტეხნიკურ მუზეუმში გაიმართება მგოსან ქალთა საღამო. საღამოში მონაწილეობას იიღებენ მგოსანი ქალები: ა. გერტიკი, ლ. კოპილოვა, ნ. პანიოტი, ს. ცარნოკი, ნ. კრანდიევსკაია, ე. რიჩინსკაია, ნ. სერპინსკაია, ლ. სტალიცა, ა. ჩუმაჩენკო და მ. შაგინიანი.

მსახიობი ქალი ლ. რინდინა წაიკითხავს რეფერატს „ქალი და პოეზია“.

—

პეტროგრადში შეუდგნენ წმინდა სანთლის შეძენის თადარიგს.

## წერილი რედ. მიმართ

„თანამედროვე აზრის“ 4 №-ში, ბ. ლიბიხის აფთიაქის მორიგი ფარმაცევტი, რომელსაც ჩვენი შეკითხვისათვის პასუხი უნდა გაეცა, დიდი ხნის დუმილის შემდეგ როგორც იქნა გამოგვეხმაურა. უადგილოდ მიგვაჩნია ზემო აღნიშნულ პირის წერილის კილოს ხაზი გაუსვათ, ვინაიდან სადაც ჯერ არს მთელ საქმესთან ერთად ამ წერილის რედაქციასაც შევაცდებით ღირსეული პასუხი ვაგოთ.

ხოლო დიდათ გაგვახარა იმ გარემოებამ, რომ ზემო აღნიშნული ბატონი თანახმაა ჩვენს შორის მომხდარი ინციდენტი საამხანაგო სამართალს გადავსცეთ.

სამი დღის განმავლობაში ველით მისგან დასახელებულ მედიატორებს, რომლების გვარის გამოცხადების შემდეგ ჩვენ მიერ არჩეული პირები მათთან ერთად საქმეს გაეცნობიან და გამოარკვევენ რამდენად „დასაგმობ საქციელი“-ს ღირსნი ვართ.

მატარაძე და მაღლაფერიძე.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

### ამიერკავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 სღ. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 სღ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 სღ. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 სღ. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 დილ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. 58 | წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 | „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 | „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ 42 | „ | „ |
| იორიდან | 11 „ 35 | „ | „ |
| საგარეჯოდან | 12 „ 17 | „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 15 | | დღის |
| მელაანიდან | 2 „ 37 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 08 | „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ 58 | „ | „ |
| თელავში მიდის | 5 „ 35 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 18 | „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ 50 | „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 | „ | „ |

**თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. 58 | წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ 45 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ 46 | „ | „ |
| მელაანიდან | 12 „ 02 | „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 13 | „ | დღის |
| საგარეჯოდან | 2 „ 15 | „ | „ |
| იორიდან | 2 „ 53 | „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ 40 | „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ 31 | „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 | „ | „ |
| თბილისში მიდის | 5 „ 01 | „ | „ |
| წნორის-წყლიდან | 9 ს. 16 | წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ 46 | „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ 16 | „ | „ |

## 1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

## „ნ ა კ ა დ უ ლ“-ზე

**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

**24** წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3 მ.** გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

**ხელის მოწერა მიიღება**

**ტბილისში**—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

**წ ი გ ნ ი ს  მ ა ღ ა ზ ი ა**

## „ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

## თევზის მრეწველნი

## ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-შვით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.